შიდა ქი

SHIRAKI

№15 (10.170)

10-17 მაისი 2025 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი * გამოდის 1937 წლიდან * ფასი: 60 თეთრი

80 წელი ფაშიზმზე გამარჯვებიდან

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების საიუბილეო 80 წლისთავს დედოფლისწყარო ახლადრეაბილიტირებული მემორიალით შეხვდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა **ნიკოლოზ ჯანიაშვილმა** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან **გოჩა სამუკაშვილთან** და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ცენტრალურ პარკში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

„დღევანდელ დღეს, როცა 80 წელია გასული დიდი გამარჯვებიდან, უფრო მარტივია შეაფასო ის დიდი გმირობა, რაც ომის ვეტერანებმა ჩაიდინეს. ღრმად მწამს, რომ ის ვაჟკაცები და ქალბატონები, რომლებიც ომში წავიდნენ და აღარ დაბრუნდნენ ბრძოლის ველიდან, იბრძოდნენ მაშინდელი მსოფლიო სენის-ფაშიზმის წინააღმდეგ. ხედავთ, მემორიალის კედლები და აქ მოცემული სტატისტიკა ნათლად ცხადყოფს ჩვენი მუნიციპალიტეტის დამსახურებას მეორე მსოფლიო ომში. ყველა მათგანი თავის სამშობლოს, კულტურასა და ტრადიციებს იცავდა. მიმაჩნია, რომ ისინი არიან გმირები და ჩვენ ვართ მათი, გმირების შთამომავლები. არა აქვს მნიშვნელობა, 80 თუ 100 წელი გავა1945 წლის გამარჯვების დღიდან, ჩვენ ყოველთვის პატივი უნდა მივაგოთ მათ უდიდეს თავგანწირვას და გაღებულ მსხვერპლს. ეს უნდა იყოს მაგალითი ჩვენი მომავალი თაობისთვის. ჩვენ, ქართველებს, ძალიან კარგი წინაპრები გვყავდა და უნდა გვახსოვდეს, რომ ფაშიზმი სხვა, სახეცვლილი ფორმებით კვლავ არ დაუბრუნდეს მსოფლიოს და ჩვენი თაობაც არ გახდეს მისი მსხვერპლი“-განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

მოგვიანებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ომის ვეტერანს, 102 წლის ნიკოლოზ შანშიაშვილს სახლში ესტუმრა და პირადად მიულოცა ფაშიზმზე გამარჯვების დღე. 2025 წელს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ომის ვეტერანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2000 ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან - 500 ლარს მიიღებს.

* * *

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. 1945 წლის 8 მაისს, გერმანიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. 9 მაისი კი, ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა.

მეორე მსოფლიო ომმა საქართველოზე უმძიმესი კვალი დატოვა - ჩვენმა ქვეყანამ 300 000-მდე ჯარისკაცი დაკარგა.

საქართველოდან მეორე მსოფლიო ომში 700 000 ადამიანი წავიდა, აქედან ნახევარი უკან არ დაბრუნებულა.

მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. აზიაში ის დაიწყო მეორე იაპონია-ჩინეთის ომით 1937 წლის 7 ივლისს და ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე 1939 წლის პირველ სექტემბერს. საომარი მდგომარეობა ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში – 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

✍ინგა შიოლაშვილი

ტექსელიდან-დედოფლისწყაროამდე

ჩემი ჰოლანდიელი და

კუნძულ ტექსელზე ქართველი ტყვეების აჯანყების ამბავი ყველასთვის კარგად ნაცნობი ისტორიაა. 1945 წლის აპრილის აჯანყების 800-ზე მეტი მონაწილიდან მხოლოდ 222 გადარჩა. მათ შორის იყო ილია ბეგიაშვილიც, რომელსაც სიცოცხლისთვის ბრძოლა კიდევ დიდხანს და ბევრჯერ მოუხდა. აჯანყების შემდეგ გერმანელებმა ქართველ ტყვეებზე ნადირობა გამოაცხადეს. ზოგი ტყეში იმალებოდა, ზოგი კი - ადგილობრივების სახლებში. გერმანელების დასამარცხებლად გაერთიანებულ ორი ეროვნების წარმომადგენლებს შორის მეგობრობის ცეცხლიც ინთებოდა და სიყვარულისაც, მაგრამ ტყვეები არც ომის დამთავრების შემდეგ იყვნენ სრულიად თავისუფლები. ბევრს სიყვარულზე და თავიანთ არჩევანზე უარის თქმა მოუწია.

– 1988 წელს ჩვენი ცხოვრებაც შეიცვალა. რთველში მყოფ მამას, ილია ბეგიაშვილს, დეპეშა მოუტანეს. უეცრად ხასიათი შეეცვალა და ეს ხალისიანი და მხიარული კაცი დასევდიანდა, დამუნჯდა, არცერთ კითხვაზე პასუხს არ გვცემდა.

მამა ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე იმ 822-ე ბატალიონის ჯარისკაცი იყო, რომლებიც ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე ჰოლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებს დაუკავშირდნენ და გერმანელების წინააღმდეგ აჯანყდნენ-ყვება ჩვენთან საუბრისას **ნუნუ ბეგიაშვილი**, რომელმაც თავისი ჰოლანდიელი და ზრდასრულ ასაკში იპოვა.

„ჩვენს ოჯახში ერთი პატარა ფოტო ინახებოდა, რომელსაც მამა განსაკუთრებულად უფრთხილდებოდა. როდესაც ვეკითხებოდით, თუ ვინ იყო ფოტოზე არსებული პატარა გოგონა, ის გვპასუხობდა, რომ ის იმ ჰოლანდიური ოჯახის ნორჩი წევრი იყო, რომლებიც მას იფარავდნენ. სინამდვილეში, ფოტოზე გამოსახული გოგონა მისი შვილი აღმოჩნდა, რომელიც, დაახლოებით, 9 თვის დატოვა და მისი ნახვის იმედი, ალბათ, აღარც ჰქონდა. ამიტომ არც საუბრობდა ამ თემაზე და საიდუმლოდ ინახავდა. ზოგადად, ომზე თითქმის არ ლაპარაკობდა. მაშინ ბევრი საკითხი ტაბუდადებული იყო. ახლა ვხვდებით, რამხელა ტკივილს დაატარებდა მამა.

თუმცა, ხომ გაგიგონიათ, „არ არსებობს დაფარული, რომელიც არა გაცხადდესო“. მამას ცხოვრებაშიც სწორედ ასე მოხდა. ჩემმა ჰოლანდიელმა დამ-ანნეკემ, რომელსაც ჩვენი ბებიის სახელი-ანა ჰქვია და რომელიც მამაჩემმა თავად შეურჩია, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს თავად მოგვძებნა.

„სიკვდილის წინ დედამ გამიმხილა, რომ მამაჩემი ქართველი იყო. მას ბანკში დანაზოგი ჰქონდა და მთხოვა, რომ ეს ფული მამის მოსაძებნად გამომეყენებინა. მეც სწორედ ასე მოვიქეცი“– ყვება ანნეკე. მამის ძებნის ისტორია ბევრ წელს და სხვადასხვა მეთოდს მოიცავს: წერილი ფოტოსურათთან ერთად ჯერ იმ სოფლის კოლმეურნეობაში გაგზავნა, სადაც ილია ცხოვრობდა, მაგრამ ძიების ამ გზამ არ გაამართლა – სოფლიდან წერილი გააგზავნეს, სადაც წერდნენ, რომ ასეთ პიროვნებას არავინ იცნობდა. ანნეკე არ დანებდა. ის საქართველოში მომღერალთა გუნდს გამოჰყვა და იმდენი მოახერხა, რომ მამამდე და დედმამიშვილებამდე ჩამოაღწია.

„ანნეკესთან შეხვედრის პირველი ემოცია არასოდეს დამავიწყდება. ჩვენთან მოიყვანეს უცხო ადამიანი, რომელიც საოცრად ჰგავდა მამას. ზედმეტი კითხვა აღარავის გაგვჩენია და ყველანი მივხვდით მამის ხასიათის უეცარი ცვლილების მიზეზს“-გვიყვება ქალბატონი ნუნუ. მერე იყო ერთმანეთის ახლოს გაცნობის და დაკარგული წლების აღდგენის მცდელობის პერიოდი. ანნეკე ჩვენთან რამდენიმე დღის მანძილზე დარჩა და ამ დროის განმავლობაში არ „მივუტოვებივართ“ კგბ-ს თანამშრომლებს. მართალია, მალევე მიხვდნენ, რომ ჩვენი შეკრებები ოჯახურ ინტერესებს არ სცდებოდა, მაგრამ ყურადღებას მაინც „არ გვაკლებდნენ“. ქართული სტუმართმოყვარეობით მოვხიბლეთ და როგორც თვითონ ამბობდა, ძალიან შეუყვარდა საქართველო, მანამდე გადმოცემით არსებული სამშობლო.

პირველი სტუმრობის შემდეგ მეორედაც გვეწვია ანნეკე თავის დასთან ერთად. ჰოლანდიაშიც დაგვპატიჟეს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ წასვლა. სააღდგომოდ კვლავ გვესტუმრა ჩვენი ჰოლანდიელი და თავის ტყუპ გოგონებთან ერთად. ამჯერად ურთიერთობას ჩვენი შვილები და შვილიშვილები უკეთ ახერხებენ-ინგლისურ ენაზე ესაუბრებიან ერთმანეთს, ჩვენ ენობრივი ბარიერი გვაქვს. ახალგაზრდებსაც ყველაფერი აინტერესებდათ, განსაკუთრებით სააღდგომო ტრადიციები. თვითონ შეღებეს კვერცხები, გამოგვყვნენ სასაფლაოზე, მოინახულეს მამის და პაპის საფლავი.

მერე იყო რამდენიმე დღე, დიდი ოჯახური შეკრებების და სიყვარულის. იმ დაკარგული წლების მიუხედავად, უცხოდ არავინ ვგრძნობდით თავს. გადავიღეთ უამრავი ფოტო, ჩვენი დიდი, ბედნიერი ოჯახის, სადაც ჩემი, ჩემი ძმის და დების შთამომავლები ერთად ვართ.ამაზე დიდი ბედნიერება, მართლაც, არ არსებობს. გენეტიკური კოდის წინაშე მანძილიც და კულტურული განსხვავებულობაც უძლურია.

ტყუილად არ უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, რომ „სისხლის ყივილი“ არსებობს. წინაალმდეგ შემთხვევაში, ჩემი ჰოლანდიელი და არც ამხელა ფინანსურ რესურსს დახარჯავდა და არც დროს, რომ მისთვის უცნობი მამა და მისი შვილები გაეცნო.

* * *

ომს თავისი კანონები აქვს. მეორე მსოფლიო ომმა ბევრი ადამიანის სიცოცხლესთან ერთად მათი ოცნებებიც შეიწირა. კუნძულ ტექსელის აჯანყებას კი დიდხანს ჰქონდა მითიური სახე, სადაც ქართველთა გმირობამ და შეუპოვრობამ ფაშიზმის დამარცხებაში თავისი წვლილი შეიტანა.

წერილს კი რევაზ ჯაფარიძის წიგნიდან „ვნების კვირა“ ამონარიდით დავამთავრებთ, რომელიც ავტორმა ამ ცნობილ აჯანყებას მიუძღვნა. „ერთი თვის შემდეგ, ივნისის18-ს, შუადღისას, ნავსადგურ ოუდესხილდიდან ზღვაში გავიდა გემი, რომლის გრონტანძაზეც ქარი კანადის ეროვნულ ალამს ატკაცუნებდა. გემბანზე კანადურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი 222 ქართველი ჯარისკაცი იდგა. მხარზე ყველას მჭიდემორგებული გერმანული ავტომატი ეკიდა.

/გაგრძელება გვ.3/

რეგიონული ფორმატის სამუშაო შეხვედრა ქობულეთში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) სამართლებრივ საკითხთა კომიტეტის რეგიონული ფორმატის სამუშაო შეხვედრას დაესწრო.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი აღნიშნული კომიტეტის წევრია. შეხვედრა ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა.

შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო მუნიციპალიტეტებში არსებული სამართლებრივი გამოწვევების ანალიზი და იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებს სისტემურ მიდგომას და საკანონმდებლო დონეზე რეაგირებას.

დისკუსიების ფარგლებში გამოიკვეთა რიგი საჭიროებები, მათ შორის - ქონების მართვა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში მომსახურების ხელმისაწვდომობა, ასევე მუნიციპალიტეტებში საჯარო სამსახურის სპეციფიკის რეგულირების აუცილებლობა.

გია ბენაშვილი — დედოფლისწყაროს დელეგატი

მას შემდეგ, რაც დავით სონღულაშვილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად დაინიშნა, პარლამენტის წევრის მანდატი შეუწყდა. ის ასევე იყო გურჯაანის, დედოფლისწყაროს, სიღნაღისა და საგარეჯოს სამაჟორიტარო ოლქის დელეგატი. სონღულაშვილის მინისტრთა კაბინეტში გადასვლის შემდეგ ჩვენი ოლგი დელეგატის გარეშე დარჩა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, დედოფლისწყაროს დელეგატის ფუნქციას შეითავსებს პარლამენტის წევრი გია ბენაშვილი. ის საკანონმდებლო ორგანოში 2016 წლიდან „ქართული ოცნების“ პარტიული სიით მოხვდა. ამჟამად არის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი. ის IX და X მოწვევის პარლამენტის წევრიც იყო.

დედოფლისწყაროს მერიის შენობის მეორე სართულზე კვლავაც მოქმედებს დელეგატის ადგილობრივი ბიურო, რომელიც კვლავაც ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს მოქალაქეთა მიღებას.

გია ბენაშვილი 1964 წელს დაიბადა, 1986 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეციალობით: საინფორმაციო საზომი ტექნიკა. 1997 წელს კი თბილისის იურიდიული ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობდა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად, კერძო კომპანიების უსაფრთხოების სამსახურის უფროსად, 2014 წლიდან „ყაზტრანსგაზის“ სპეციალური მმართველი, 2015 წლიდან კი გაზის ტრანსპორტირების კომპანიის გენერალური დირექტორი. ***შირაქი***

დედოფლისწყაროში ლეიშმანიოზის მეორე შემთხვევა არ დადასტურდა

დედოფლისწყაროში ლეიშმანიოზის ადამიანში გამოვლენის მეორე შემთხვევა არ დადასტურდა. სოფელ სამთაწყაროში დასნებოვნებულ ცხოველთან კონტაქტირებულ გოგონას ინფექცია არ აღმოაჩნდა. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ამბობენ, რომ დაავადებულ ძაღლთან კონტაქტში მყოფი ოჯახის წევრი ლაბორატორიულად გადამოწმდა და საბედნიეროდ ინფიცირება არ მომხდარა.

ამ შემთხვევისგან განსხვავებით რამდენიმე თვის წინ ქ. დედოფლისწყაროში ლეიშმანიოზის ადამიანში გამოვლენის ერთი შემთხვევაა აღრიცხული. ინფიცირებულ პირს შესაბამისი მკურნალობა დაენიშნა. დედოფლისწყაროს მთავარი ეპიდემიოლოგის, ლალი ალადაშვილის განმარტებით, წელს ლეიშმანიოზის მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოვლინდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალში ამ შემთხვევების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

ვეტერინარები კი ოთხფეხა მეგობრების პატრონებს ურჩევენ, ძაღლის დაინფიცირების შემთხვევაში ცხოველის დაძინებაზე იფიქრონ, რადგან ეს ინფექცია არ ინკურნება და საფრთხეს უქმნის როგორც შორიახლოს მცხოვრებ ცხოველებს, ისე ადამიანებს. ***შირაქი***

მაჩხაანელი სპორტსმენები არ თმობენ ლიდერობას

3 მაისს ალვანში გაიმართა კახეთის რეგიონის ღია ჩემპიონატი კიკბოქსინგში, სადაც მონაწილეობდნენ კახეთის რეგიონის გუნდები. ჩატარდა ფართომასშტაბიანი ჩემპიონატი, რომელმაც მთელი კახეთი მოიცვა.

ტურნირში ასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ზემო მოჩხაანის გუნდმა „ზაქებმა“ ტურნირზე საუკეთესო შედეგი აჩვენა. შეჯიბრში პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ სპორტსმენები, რომლებმაც დროზე ადრე დაამთავრეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ტექნიკური ნოკაუტით. ესენი არიან: ნიკა ჯაბაშვილი (68 კგ, წონითი კატეგორია, დაბადებული 2009 წ); საბა ნატროშვილი (დაბადებული 2011წ. 40 კგ. წონითი კატეგორია); მარიამ ჯაბაშვილი (დაბადებული 2011 წ. 54 კგ. წონითი კატეგორია). **გუნდის მწვრთნელია გენადი ნატროშვილი.**

„ნაბიჯი ლოგიკური და კრიტიკული აზროვნებისკენ“

2025 წლის 5 მაისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლაში ჩატარდა ინტელექტუალურ-შემეცნებითი ხასიათის ვიქტორინა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. ღონისძიება შედგა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ქალბატონი თამილა ნადირაშვილის, ინგლისური ენის მასწავლებლის, ქალბატონი ნინო გელაშვილისა და გეოგრაფიის მასწავლებლის, ქალბატონი ნანა გახოკიძის ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით.

ვიქტორინა მოიცავდა სამ საგანს: ქართული ენა და ლიტერატურა, გეოგრაფია და ინგლისური ენა.

ღონისძიების მთავარი მიზანი იყო მოსწავლეებში ინტელექტუალური დონის ამაღლება, სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა და ისეთი უნარების განვითარება, როგორებიცაა ლოგიკური, კრიტიკული, მიზეზ-შედეგობრივი და თანმიმდევრული აზროვნება. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო მოსწავლეებში შინაგანი მოტივაციის გაღვივება და საგნებისადმი ინტერესის გაზრდა.

ვიქტორინა გაიმართა პრეზენტაციის ფორმატში და გამოირჩეოდა ორგანიზებულობითა და აქტიური მონაწილეობით. მოსწავლეები დიდი მონდომებითა და ინტერესით ჩაერთვნენ შეჯიბრებაში, რაც საგრძნობლად ზრდიდა ღონისძიების განათლებით ღირებულებას.

ღონისძიებას ჰყავდა კომპეტენტური ჟიური: ისტორიის მასწავლებელი ბატონი ფრიდონ საკანელაშვილი, საქმისმწარმოებელი ქალბატონი ქეთევან ხუციშვილი და სკოლის დირექტორი ქალბატონი ეკატერინე ჩიტაური.

შეჯიბრების შედეგებით გამოვლინდა გამარჯვებულები:

- **I ადგილი - X კლასის მოსწავლე ნიკოლოზ სარდალაშვილი**
- **II ადგილი - VIII კლასის მოსწავლე სოფია სარდალაშვილი**
- **III ადგილი - X კლასის მოსწავლეები სალომე სარდალაშვილი და ნიკა შაინიძე (ერთობლივად).**

დასასრულს, სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ეკატერინე ჩიტაურმა, გამარჯვებულებს გადასცა დიპლომები, ხოლო მონაწილე ყველა მოსწავლეს - სიგელები. ღონისძიების ორგანიზატორ მასწავლებლებს გადაეცათ მადლობის სიგელები გამოჩენილი პროფესიონალიზმისა და აქტიური ჩართულობისთვის.

ვიქტორინას ესწრებოდნენ სკოლის დირექცია, დირექტორის მოადგილე ქალბატონი ელენე გრიგორიადი, მასწავლებლები და მოსწავლეები.

ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოების მხრიდან.

დირექტორმა და მოადგილემ მადლობა გადაუხადეს, როგორც მონაწილეებს, ასევე ორგანიზატორებს და გამარჯვებულებს წარმატება მიულოცეს. მასწავლებლებმაც დადებითად შეაფასეს ვიქტორინის შინაარსი, ფორმატი და შთაბეჭდილება, რომელიც მან დატოვა მოსწავლეებზე.

ღონისძიება არამხოლოდ ცოდნისა და აზროვნების გამოკვეთით, არამედ საერთო მოტივაციის ამაღლებითა და სასწავლო პროცესის გააქტიურებითაც გამოირჩეოდა.

„გაჯანსაღება ჩემი არჩევანია“

6 მაისს, მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლში გაიმართა პრეზენტაცია - ჯანსაღი ცხოვრების წესი -„გაჯანსაღება ჩემი არჩევანია“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლისა და მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მე-7 და მე- 8 კლასის მოსწავლეები, საბრძოლო სპორტის უშუ-სანდას სპორტსმენები,(მწვრთნელი ლუკა პოპიაშვილი), ა.(ა).ი.პ.კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები.

გაიმართა დებატები დამსწრე საზოგადოებას შორის.

დასკვნითი სიტყვით გამოვიდა ცენტრის დირექტორი დოდო ხუნაშვილი და უშუ სანდას მწვრთნელი ლუკა პოპიაშვილი.

პრეზენტაცია წარადგინეს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ლალა ჩოფიკაშვილმა და ლიკა ჯინაშვილმა.

ღონისძიება მოამზადა ცენტრის სპეციალისტმა ახალგაზრდობის საკითხებში ნინო ალადაშვილმა.

ტექსელიდან-დედოფლისწყარომდე

ჩემი ჰოლანდიელი და

ამ სახლში მალავდნენ ილია ბეგიაშვილს

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

ეს ის ავტომატები იყო, რითაც ომი გადაიხადეს და მტერსაც და მოყვარესაც თავიანთი კაცური კაცობა დაუმტკიცეს. უმეტესობას ჯერ კიდევ მოუშუშებელი ჭრილობები აწუხებდა, გემის ბაქანზე დიდხანს დგომა არ შეეძლო, მაგრამ მაინც იდგა, თვალს დევნებდა ნაპირს, თანდათან რომ შორდებოდათ, მეხსიერებაში სამუდამოდ იბეჭდავდა კუნძულს, ოთხწყალშუა მოქცეულ მწვანე ოაზისს, რომლის წიაღშიაც, მშობლიური ეზო-ყურიდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვის გადაღმა, ხუთას ოცდაორმა ჯარისკაცმა ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი“.

***

ბრძოლა ტექსელზე 1945 წლის 6 აპრილს დაიწყო და 20 მაისამდე, კანადის ჯარის ჩასვლამდე გაგრძელდა. უცნაური ის იყო, რომ ჯარისკაცებს ორივე მხრიდან ერთნაირი უნიფორმა ეცვათ. ერთ მხარეს ქართველები (მეტწილად საბჭოთა, ბრძოლის ველზე დატყვევებული ჯარისკაცები ვერმახტის 822-ე აღმოსავლეთის ბატალიონიდან), ხოლო მათი მოწინააღმდეგეები იყვნენ გერმანელი ჯარისკაცები, რომელთაც 6 აპრილის დილის საათებამდე ქართველები ერთგულ მებრძოლებად მიაჩნდათ.

როგორც წიგნის ავტორი,ერიკ ლი წერს, მათ შორის ასევე იყვნენ ის ჰოლანდიელები, რომელთაც თავიდან ჩათვალეს, რომ კუნძული მოკავშირეთა ძალების მიერ იყო გათავისუფლებული, მაგრამ მალე ისინიც ამ სისხლიანი ორთაბრძოლის ნაწილი გახდნენ, რომელსაც ათობით სამოქალაქო პირის, მათ შორის, ბავშვების სიცოცხლეც შეეწირა.

1944 წლის აპრილში, როცა ტექსელის აჯანყებამდე ერთი წელი იყო დარჩენილი, აჯანყების ორგანიზატორებმა შალვა ლოლაძემ, სერგი გუჯაბიძემ და ევგენი არტემიძემ ჰოლანდიური წინააღმდეგობის ძალებთან კონტაქტი დაამყარეს.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა და აღარც ელოდნენ, რომ აჯანყება მოხდებოდა. ყველა ფიქრობდა, რომ გერმანელები კაპიტულაციას გამოაცხადებდნენ და მათი ჯარისკაცები შინ დაბრუნდებოდნენ, ჰოლანდიელები კი მშვიდად განაგრძობდნენ ცხოვრებას.

„მაგრამ ასეთი მოახლოებული რეალობა მისაღები იყო ყველასთვის 822-ე ბატალიონის გარდა. იმიტომ, რომ მათთვის ომის დასრულება სახლში დაბრუნებას სულაც არ ნიშნავდა - მათ იცოდნენ, რომ სტალინს ორჯერ ჰქონდა მათთვის გამოტანილი განაჩენი - ერთხელ იმ ბრძანებით, რომელიც ჯარისკაცს მტრის ხელში ცოცხლად ჩავარდნას უკრძალავდა და მეორედ - მტრის უნიფორმის ჩაცმისა და ომის დროს ნაცისტებთან თანამშრომლობისთვის - დაბრუნების შემთხვევაში მათ შეწყალების იმედი არ უნდა ჰქონოდათ“, - წერს ერიკ ლი.

ევგენი არტემიძე იხსენებდა:

„გერმანელებმა გადაწყვიტეს, ჩვენი ბატალიონის ნახევარი ფრონტზე გაეგზავნათ, ნახევარი კი ტექსელზე დაეტოვებინათ, და თუ ქართველები გერმანელებს უღალატებდნენ და ბრიტანელების მხარეზე გადავიდოდნენ, ისინი ტექსელზე ქართველებს დახოცავდნენ... გადავწყვიტეთ, რომ საერთო მიზნისთვის სიკვდილი სჯობდა: გერმანელების წინააღმდეგ უნდა ავჯანყებულიყავით. თუ დავიხოცებოდით, დე, ასე ყოფილიყო. თუ გადავრჩებოდით, საბჭოთა კავშირისადმი ერთგული ჯარისკაცების სახელი გვექნებოდა“.

ქართველები კი კუნძულზე საკუთარი თავის იმედად დარჩნენ და პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდნენ. ზოგიერთი მათგანი ჰოლანდიელებთან აფარებდა თავს. ასეთი იყო, მაგალითად, ევგენი არტემიძე.

ერიკ ლი ამ წიგნში გვიზიარებს ერთი ჰოლანდიელი ქალის მოგონებას:

„ერთხელ გვითხრეს, „ხვალ აქ ვიღაცას მოვიყვანთ“. რომ მოიყვანეს, არტემიძე გამოდგა. მამაჩემმა თქვა: ამ კაცს რა მოვუხერხო? მანამდე ღორი დავკალით და შესანახად ქილებში ჩავაწყვეთ. სათივეში კი პატარა ოთახივით ღიობი დარჩა, ის ღორი იქ ცხოვრობდა. ზუსტად იქით წაიყვანეს არტემიძე, იქ, სადაც ღორი ცხოვრობდა“.

იმ 8000 ქართველიდან, რომლებიც გერმანიის არმიაში მსახურობდნენ, ნაწილი გულაგებში გააგზავნეს, მცირე ნაწილმა შეძლო სხვა ქვეყნებში თავშესაფრის მიღება. ტექსელის ბრძოლებს გადარჩენილები იღბლიანები გამოდგნენ, წერს ერიკ ლი, ისინი არ დაუხვრეტიათ. ზოგი დროებით გადაასახლეს.

წიგნის ავტორის სიტყვებით, შესაძლოა, ვერც ვერასდროს გავიგოთ, როგორ გადაურჩნენ ტექსელის ქართველები დასჯას, მაგრამ მათ შესახებ მითების შექმნის პროცესი რომ მანამდე დაიწყო, სანამ მათ კუნძულიდან გაამგზავრებდნენ, ეს კი ნამდვილად ვიცითო, - ამბობს ავტორი.

✍ **ინგა შიოლაშვილი**
✍ **ელზა ხარაშვილი**

დემოგრაფიული მდგომარეობა დედოფლისწყაროში

2024 წლის განმავლობაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 170 ახალშობილი დაიბადა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, რომელიც „საქსტატმა“ მოგვაწოდა, გასულ წელს ქალაქ დედოფლისწყაროში რეგისტრირებული 58 ბავშვი დაიბადა, ხოლო სოფლებში 112. აქედან 74 მამრობითია, 96 მდედრობითი. ეს ციფრები ასახავს მხოლოდ იმ ახალშობილების რაოდენობას, რომლების საცხოვრებელი მისამართიც ოფიციალურად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტია. სტატისტიკაში ექცევა სხვა ქალაქების სამშობიაროში დაბადებული ჩვილებიც, რომელთა მშობლებიც დედოფლისწყაროში ცხოვრობენ.

იმავე სტატისტიკის მიხედვით, ასეთი დაბალი შობადობა მრავალი წელია არ ყოფილა. ჩვენს მუნიციპალიტეტში შობადობა ყოველთვის 200-ს ახალშობილს აღემატებოდა და უფრო ნაკლები ბოლო 20 წლის განმავლობაში არ აღრიცხულა. 2014-15 წლებში კი ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი 350-მდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

შემცირებული შობადობით გამოირჩეოდა 2023 წელიც, სადაც მხოლოდ 193 ახალშობილია აღრიცხული. აქედან 73 ქალაქ დედოფლისწყაროში დაიბადა, 120 კი მუნიციპალიტეტის სოფლებში. მათ შორის 99 ბიჭია, 94 გოგო. დანარჩენ წლებში შობადობის მაჩვენებელი 200-დან 350-მდე მერყეობს.

სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურის მიერ დათვლილია შობადობის კოეფიციენტი 1000 მოსახლეზე გაანგარიშებით. 2024 წელს შობადობის კოეფიციენტია 8,5; 2023-ში - 9,5; 2022 წელს - 10,5; 2021 - 10,6; 2020 - 11,0. ბოლო ოცი წლის განმავლობაში მაღალი კოეფიციენტია 2014-15 წლებში და ამან 16,3 შეადგინა.

ბოლო სამი წლის განმავლობაში დედოფლისწყაროში საერთოდ არ დაფიქსირებულა მკვდრადშობიარობის სტატისტიკა. უკანასკნელი შემთხვევები 2020 წელს იყო, როცა მკვდრადშობის 5 შემთხვევა გამოვლინდა, ხოლო 2021 წელს — 5; 2017 წელს — 5; 2015 — 6; 2014 — 4; 2012 — 5; 2011 - 4; 2010 - 7.

გადავხედოთ ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინებებისა და განქორწინებების მაჩვენებელსაც. **2024 წელს ოფიციალურად რეგისტრირებულია 126 ქორწინება, საიდანაც 26 ქალაქ დედოფლისწყაროში, 100 კი სასოფლო დასახლებებშია აღრიცხული. 2023 წელს 102 ქორწინება დაფიქსირდა**, საიდანაც 26 ქალაქში, 76 კი სოფლებშია აღწერილი. ამდენად, გასულ წელს, წინა წელთან შედარებით ქორწინების მატებაა.

ქორწინების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეობდა 2014 წლის სტატისტიკა, რა დროსაც 218 ქორწინებაა დაფიქსირებული, 68 ქ. დედოფლისწყაროში, 150 სოფლებში. მაღალი მაჩვენებელი იყო 2013 წელსაც, სადაც 216 ქორწინება დარეგისტრირდა, 56 ქალაქში, 160 კი სოფლად. ქორწინების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2020 წელს დაფიქსირდა, რაც ძირითადად კოვიდპანდემიით და საყოველთაო ჩაკეტილობითაა გამოწვეული. მაშინ სერვისების ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო. 2020 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 90 ქორწინებაა დაფიქსირებული, საიდანაც 27 ქალაქში, 63 კი სოფლებშია.

თუკი ქორწინების კოეფიციენტი 10 წლის წინ დედოფლისწყაროში 1000 კაცზე გაანგარიშებით 10,2 იყო, 2024 წელს კოეფიციენტი 6,3-მდე შემცირდა, 2023 წელს კი 5,0-მდე. **2024 წელს 60 წლის ასაკს გადაცილებულთა ქორწინების რეგისტრაციაც დაფიქსირდა, 5 კაცია, 4 კი ქალი.** ქორწინების რეგისტრირებულ მონაცემებზე დაყრდნობით ბოლო 15 წლის განმავლობაში „საქსტატმა“ გამოიანგარიშა ქორწინების საშუალო ასაკი დედოფლისწყაროში. ქალებს შორის ესაა 25-დან 32 წლამდე, ხოლო მამაკაცებში 30-დან 34,5 წლამდე.

რატომ უარესდება დემოგრაფიული მდგომარეობა ქვეყანაში და რატომაა ეს ყველაზე მეტად თვალშისაცემი სწორედ რეგიონებში? ამის გარკვევას გაზეთი „შირაქი“ შეეცადა.

შობადობის შემცირების მთავარ მიზეზად სპეციალისტები იმ გარემოებას ასახელებენ, რომ ახლა რეპროდუქციული ასაკი 90-იანი წლების კრიზისის დროს დაბადებულ თაობას აქვს, ამიტომაც სტატისტიკის ვარდნა მოსალოდნელი იყო. ბუნებრივია, რომ 90-იანი წლების სიმძიმე თავის ასახვას ჰპოვებდა, რადგან იმ თაობის დიდი ნაწილი, რომელიც ახლა შთამომავლობას უნდა ქმნიდეს, იმ კრიზისულ წლებში არ დაბადებულა. ჩვენს ქვეყანაში ვითარების დასტაბილურება 2000-იანი წლებიდან იწყება, შესაბამისად, მომავალ წლებში შობადობის მატება ისევ მოსალოდნელია. ბუნებრივი მატება კი ძირითადად 2000-იანელების თაობის ხარჯზეა პროგნოზირებული.

დემოგრაფიული პრობლემის გამწვავებას ხელს უწყობს როგორც შიდა, ისე გარე მიგრაცია. ახალი თაობა სკოლის დამთავრებისთანავე ჯერ სასწავლებლად, შემდეგ კი სამუშაოს საძიებლად დიდ ქალაქებსა და საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნებისკენ მიილტვის. შესაბამისად, პირველ რიგში მათი საზრუნავი დასაქმება და საარსებო პირობების შესაქმნელად ზრუნვაა. დაოჯახება და შთამომავლობის დატოვებაზე ზრუნვა კი მეორე პლანზე ინაცვლებს.

ჩვენს მიერ გამოკითხული ახალგაზრდების დიდი ნაწილი ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდა რთულად ახერხებს დასაქმებას და შემდგომში სტაბილური ხელფასით უზრუნველყოფას. უმრავლესობა საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფას მხოლოდ 40 წლის ასაკისთვის თუ ახერხებს, ამ ფონზე უგვიანდებათ.

„თუ ახალგაზრდას მშობლებისგან რაიმე მემკვიდრეობა არ დარჩა, შეუძლებელია ფეხზე მყარად დადგე. მხოლოდ ხელფასით წარმოუდგენელია საცხოვრებელი ბინაც შეიძინო და პარალელურად არსებობაც შეძლო. თუ ხელფასით სახლს იყიდი, გამოდის რომ 10-15-20 წელი ეს საბანკო ვალი უნდა დაფარო და ამ ხნის განმავლობაში სხვა ხარჯებისთვის ფული აღარ გრჩება. არადა სხვა რამდენი ხარჯი აქვს ადამიანს... საქართველოში არ არის ისეთი ხელფასები, რომ თუნდაც წარმატებულმა ახალგაზრდამ დროულად მოახერხოს სტაბილური სამსახურის, საცხოვრებელი სახლის უზრუნველყოფა, რომ შემდეგ დაოჯახება დაგეგმოს. ბევრისგან გაიგებთ, რომ ელემენტარული პირობების უზრუნველყოფა მხოლოდ 40 წლის ასაკში შეძლეს... როცა რეალობის წინაშე ვდგებით, გვიწევს არჩევანი ემიგრაციაზე შევაჩეროთ, ან სხვაგან ვეძებოთ გამოსავალი. სამწუხაროდ, ბევრმა გაქცევაში ნახა გამოსავალი... ბევრია ისეთიც, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში ფეხს მოიკიდებენ და აღარც ფიქრობენ სამშობლოში დაბრუნებაზე. მათი შვილები იქ იბადებიან, იზრდებიან, ბევრმა ქართულიც აღარ იცის... 10-20 წელი რომ შვილებს სხვა ქვეყანაში გაზრდი, უცხო სოციუმში რომ ტრიალებენ, ბუნებრივია მათ საქართველოსთან ემოციური ბმა არც ექნებათ და დაკარგულ თაობას მივიღებთ,“ - გვიამბობენ ახალგაზრდები.

ახლადშექმნილი ოჯახები რეგიონში დარჩენას ძირითადად დასაქმების პრობლემის გამო ვერ ახერხებენ. რაიონული ცენტრებისგან განსხვავებით კიდევ უფრო რთული ვითარებაა სოფლებში. სოფლად მხოლოდ ისეთი ახლადშექმნილი ოჯახები მკვიდრდებიან, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, ან საჯარო სექტორში არიან დასაქმებულნი. კერძო სექტორის სამუშაო ადგილების რაოდენობა სოფლებში ცოტაა, ამდენად სტაბილური შემოსავლის წყაროს ძიება ხშირად მათ მიგრაციის გარდაუვალი აუცილებლობის წინაშე აყენებს. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამავე მიზეზით მცირეწლოვანი შვილების წლობით დატოვება და ემიგრაციაში წასვლაც ბევრს უწევს.

„სოფლებში რაზე უნდა დასაქმდეს ახალგაზრდა? ერთადერთი, რაც ყველა სოფელში მოქმედებს ესაა ბაღები და სკოლები. იქ თუ არ იმუშავებ, სხვა შესაძლებლობას სოფლად არც საჯარო სექტორი იძლევა. კერძო სექტორი სოფლებში თითქმის არ არის განვითარებული, რომ სამუშაო ადგილებს ბიზნესი ქმნიდეს. გამოდის, რომ მაშინ ვენახს, მიწას, ან მესაქონლეობას უნდა მოეკიდო. ეს ბევრ ახალგაზრდას ან არ შეუძლია, ან სხვა სფეროში დასაქმებას ამჯობინებს, ამიტომაცაა რომ სოფლებში სკოლის ასაკის ბავშვები და მოხუცები დარჩნენ, სხვა თაობა თითზე ჩამოსათვლელია. კარგი განათლებაც რომ მიიღოს, უკან, რეგიონში დაბრუნებაზე თითქმის არავინ ფიქრობს. ხშირად ახალგაზრდებს გვადანაშაულებენ ამაში, მაგრამ თუკი შესაბამისი განათლებით დავსაქმდებით და ცოდნის რეალიზების საშუალება სოფელში მოგვეცემა, რატომაც არ დავბრუნდებით?!“ - ამბობენ ახალგაზრდები.

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
შობადობა	**300**	**277**	**279**	**281**	**349**	**348**	**333**	**299**	**252**	**250**	**228**	**218**	**215**	**193**	**170**
ქალაქი	88	77	70	67	83	108	92	76	76	79	71	62	69	73	58
სოფლები	212	200	209	214	266	240	241	223	176	171	157	156	146	120	112
ბიჭი	160	145	152	150	173	177	174	150	123	134	109	110	116	99	74
გოგო	140	132	127	131	176	171	159	149	129	116	119	108	99	94	96

აშშ-ში ქართული ღვინის იმპორტი 11-წლიან რეკორდულ მაჩვენებელზეა

აშშ-ში ღვინის იმპორტიორ 25 წამყვან ქვეყანას შორის საქართველო მე-17 ადგილზეა. ამის შესახებ ამერიკის ღვინის ეკონომისტთა ასოციაციის** (American Association of Wine Economists-AAWE) **ანგარიშში წერია, რაც მის ფაცებოოკ-გვერდზე ვრცელდება.

კერძოდ, 2024 წელს ღირებულების თვალსაზრისით აშშ-ში საქართველოდან 7.8 მლნ დოლარის ღვინო შევიდა, რაც ბოლო თერთმეტწლიანი პერიოდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მანამდე მაქსიმუმი მხოლოდ 2022 წელს დაფიქსირდა, როცა იმპორტმა 5.6 მლნ დოლარი შეადგინა.

მხოლოდ ერთ წელიწადში, ანუ 2023-2024 წლებში აშშ-ში ქართული ღვინის იმპორტი 2.6 მლნ დოლარამდე გაიზარდა. შარშან ქვეყანა, 2023 წელთან შედარებით, მე-18-ე ადგილიდან ერთი პოზიციით დაწინაურდა. 2023 წელს აშშ-ში საქართველოდან 5.22 მლნ დოლარის ღირებულების ღვინის იმპორტი განხორციელდა, რაც აშშ-ში ღვინის იმპორტის მთლიანი ღირებულების 0.078%-ს შეადგენდა.

2013-2024 წწ. პერიოდის სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ში ქართული ღვინის იმპორტის ღირებულება 0.8 მილიონიდან 7.8 მლნ დოლარამდე გაიზარდა. კერძოდ:

- ***2013 წელი -0.8 მლნ დოლარი***
- ***2014 წელი - 0.9 მლნ დოლარი***
- ***2015 წელი - 1.1 მლნ დოლარი***
- ***2016 წელი - 1.3 მლნ დოლარი***
- ***2017 წელი - 1.7 მლნ დოლარი***
- ***2018 წელი - 2.0 მლნ დოლარი***
- ***2019 წელი - 3.0 მლნ დოლარი***
- ***2020 წელი - 3.8 მლნ დოლარი***
- ***2021 წელი - 4.6 მლნ დოლარი***
- ***2022 წელი - 5.4 მლნ დოლარი***
- ***2023 წელი - 5.2 მლნ დოლარი***
- ***2024 წელი - 7.8 მლნ დოლარი***

ბოლო, 2024 წლის რეიტინგში საქართველო სულ ერთი პოზიციით, ხოლო თანხობრივად ბევრად მეტად ჩამორჩება საბერძნეთს (19.5 მლნ დოლარი) და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიც მექსიკა (7.4 მლნ), დიდი ბრიტანეთი (7.4 მლნ), შვეიცარია (7.4 მლნ), სლოვენია (4.3 მლნ), უნგრეთი (3.7 მლნ), ლიბანი (3.1 მლნ), ბელგია (2.5 მლნ), დანია (2.4 მლნ) და ურუგვაია (2.1 მლნ).

აშშ-ში ღვინის წამყვანი იმპორტიორი ქვეყნების სამეულს საფრანგეთი (2.506 მლრდ დოლარი), იტალია (2.253 მლრდ) და ახალი ზელანდია (518 მლნ) წარმოადგენენ.

აშშ-ში ღვინის იმპორტის ღირებულებით ქვეყნების 2024 წლის ტოპ 10-ეული ასეთია:

- ***საფრანგეთი - 2.506.3 მლრდ დოლარი***
- ***იტალია - 2.253.2 მლრდ დოლარი***
- ***ახალი ზელანდია - 518.4 მლნ დოლარი***
- ***ესპანეთი - 391.4 მლნ დოლარი***
- ***ავსტრალია - 243.3 მლნ დოლარი***
- ***არგენტინა - 207 მლნ დოლარი***
- ***ჩილე - 163.5 მლნ დოლარი***
- ***პორტუგალია - 118 მლნ დოლარი***
- ***გერმანია - 77.9 მლნ დოლარი***
- ***კანადა - 63.4 მლნ დოლარი***

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ტოპ-10-ეულის შემადგენლობა და პოზიციები 2023 წლის ანალოგიურია.

სულ ევროკავშირის წევრი ქვეყნების წილმა აშშ-ში ღვინის იმპორტში 80%, ანუ 5.412 მლრდ დოლარი შეადგინა, ხოლო ბლოკის არაწევრი ქვეყნების წილი 20%-ია, რაც 1.378 მლრდ დოლარია.

ცნობისთვის: AAWE არაკომერციული საგანმანათლებლო ორგანიზაციაა, რომელიც ეკონომიკურ კვლევებს ეწევა, ასევე, მეღვინეობის სფეროში იდეებს აანალიზებს და მათ გაცვლას უწყობს ხელს. ასოციაციის ძირითადი საქმიანობა მეღვინეობის შესახებ რეცენზირებული ეკონომიკური ჟურნალის გამოცემა და მეღვინეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებაა.

რა მნიშვნელობა აქვს ამერიკაში გატანილ ღვინოს ჩვენი ქვეყნისთვის?

საქართველოსთვის ამერიკაში გატანილ ღვინოს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკურ-დიპლომატიური მნიშვნელობა:

1. ეკონომიკური მნიშვნელობა

•ექსპორტის ზრდა: ამერიკა წარმოადგენს ერთ-ერთ დიდ და მზარდ ბაზარს ქართული ღვინისათვის. ექსპორტის ზრდა ნიშნავს შემოსავლის მატებას ქართველი მეღვინეებისთვის და მთლიანად ღვინის ინდუსტრიისთვის.

•მცირე მეწარმეების მხარდაჭერა: ბევრი მცირე და საშუალო მეღვინე, რომლებიც ტრადიციულ ტექნოლოგიებს იყენებენ, ღვინის ექსპორტით იძენენ საერთაშორისო აღიარებას და ინარჩუნებენ ფინანსურ მდგრადობას.

•დასაქმება და ინვესტიციები: ღვინის ინდუსტრიის განვითარება ქმნის სამუშაო ადგილებს რეგიონებში და იზიდავს უცხოურ ინვესტიციებს.

2. კულტურული მნიშვნელობა

•ტრადიციული ღვინის პოპულარიზაცია: ქართული ქვევრის ღვინო უნიკალურია და განიხილება როგორც უძველესი ტრადიციული ღვინის წარმოების ნაწილი. ამერიკაში გატანა ხელს უწყობს ამ კულტურის საერთაშორისო დონეზე წარმოჩენას.

•საქართველოს იმიჯის გამყარება: ღვინო ხდება ქვეყნის „საოფისე ბარათი“, რაც აძლიერებს საქართველოს, როგორც კულტურულად მდიდარი ქვეყნის პოზიციონირებას.

3. პოლიტიკური და დიპლომატიური მნიშვნელობა

•დასავლური ინტეგრაციის მხარდაჭერა: ამერიკასთან მჭიდრო სავაჭრო კავშირი და კულტურული პროდუქტის გაცვლა ხაზს უსვამს საქართველოს ევროპულ-დასავლურ კურსს.

•„რბილი ძალა“ (soft power): ღვინის მეშვეობით საქართველო ახერხებს პოზიტიური იმიჯის შექმნას საერთაშორისო არენაზე, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკურ ურთიერთობებზე.

ამერიკულ ბაზარზე ქართული ღვინოების წარმატება განპირობებულია მათი უნიკალური გემოთი, ტრადიციული წარმოების მეთოდებით და მაღალი ხარისხით. ამერიკელი მომხმარებლები ეძებენ ახალ და განსხვავებულ გემოებს, რაც ქართული ღვინოების პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

თუ გსურთ გაიგოთ, თუ რომელ ღვინოებს მიიჩნევენ ამერიკელი მომხმარებლები საუკეთესოებად, შეგიძლიათ გაეცნოთ ღვინის მიმოხილვებსა და შეფასებებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ღვინის სპეციალიზირებულ ვებგვერდებზე და ჟურნალებში.

საქართველოს რამდენ მოქალაქეს აქვს აკრძალული გასართობ თამაშობებში მონაწილეობის უფლება?

„აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა თვითშეზღუდვის პროცედურა კიდევ უფრო გამარტივდა“, - აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

როგორც განცხადებაში ვკითხულობთ, დაინტერესებულ პირებს ელექტრონულ სერვისზე სწრაფი იდენტიფიკაციის გზით, შედარებით უფრო მარტივად შეუძლიათ საკუთარი მონაცემების შეყვანა.

„ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური გაცნობებთ, რომ ახალი ელექტრონული სერვისის დანერგვით, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა თვითშეზღუდვის პროცედურა კიდევ უფრო გამარტივდა. მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს, სწრაფი იდენტიფიცირების გზით, ვებგვერდზე www.rs.ge ავტორიზაციის გარეშე, მარტივად მოახდინოს საკუთარი მონაცემების შეყვანა.

ამასთან, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ პირთა სიაში მონაცემების შეტანა, შესაძლებელია ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან, ელექტრონული განცხადების წარმოდგენით.

შემოსავლების სამსახური შეგახსენებთ, რომ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება 2022 წლის პირველი მარტიდან განხორციელდა.

უწყების ცნობითვე, დღეის მონაცემებით, ელექტრონულ ბაზაში, ონლაინ სათამაშო ბიზნესის გამკაცრებული რეგულაციების შედეგად, დამოკიდებულ პირთა სიაში რეგისტრირებულია 26 655 ფიზიკური პირი, აქედან მოსამართლის ბრძანების საფუძველზე 58 პირი, ხოლო თავად პირის მომართვის საფუძველზე 26 597 განაცხადი დარეგისტრირდა.

ამასთან, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკრძალულ პირთა სიაში, ავტომატურ რეჟიმში 1 552 685 პირის შესახებ არის ინფორმაცია შეტანილი,“ - შემოსავლების სამსახური.

ცნობისთვის, „თამაშზე დამოკიდებულ პირად“ ითვლება ადამიანი, რომელსაც აქვს დაუძლეველი სურვილი და დამოკიდებულება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებზე და რომლის მონაცემებიც „დამოკიდებულ პირთა სიაში“ არის შეყვანილი. ხოლო „აკრძალულ პირთა“ რეესტრში ხვდებიან, ისინი ვინც დასაქმებული არიან საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მათ შორის: სახელმწიფო მოსამსახურეები, საჯარო მოსამსახურეები, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირები და ა.შ.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას - იგივე ლუდომანიას - შეუძლია მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ადამიანის ფიზიკურ, ფსიქიკურ, ფინანსურ და სოციალურ ცხოვრებას. ძირითადი პრობლემები, რაც შეიძლება ამ დამოკიდებულებას მოჰყვეს არის:

ფსიქოლოგიური ზიანი

•დეპრესია და შფოთვა - მოთამაშეს მუდმივად თან სდევს წაგების შიში, დანაშაულის გრძნობა და უსუსურობა.

•დამოკიდებულების გაღრმავება - აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება შეიძლება ისე გაღრმავდეს, რომ ადამიანი ვეღარ გაჩერდეს, თუნდაც ფული აღარ ჰქონდეს.

•სუიციდური აზრები - ხშირია სუიციდის მცდელობები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანი დიდ თანხას აგებს ან დაკარგავს ახლობლების ნდობას.

ფინანსური ზიანი

•ვალები და გაკოტრება - მუდმივი თამაშის შედეგად ბევრი ადამიანი იღებს სესხს, ყიდის ქონებას და მაინც აგებს.

•სამუშაოს დაკარგვა - ფინანსური პრობლემების ფონზე ადამიანი ხშირად კარგავს კონცენტრაციას, რაც სამუშაოს ხარისხზე აისახება.

•ფულის უკანონო მოპოვება - ზოგიერთს თამაში მიჰყავს ისეთ დონემდე, რომ იწყებს ქურდობას ან თაღლითობას.

სოციალური ზიანი

•ოჯახის დანგრევა - დამოკიდებულება ხშირად იწვევს კონფლიქტებს ოჯახში, ღალატს, ტყუილს და საბოლოოდ, განქორწინებას.

•სოციალური იზოლაცია - მოთამაშეები ხშირად თავს არიდებენ მეგობრებს და საზოგადოებას, თავს დამნაშავედ გრძნობენ.

•ნდობის დაკარგვა - მეგობრები და ახლობლები ხშირად წყვეტენ ურთიერთობას, როცა თამაშის გამო ადამიანი ავიწროებს მათ ან იტყუება.

ფიზიკური ჯანმრთელობა

•უძილობა და დაღლილობა - ფიზიკური და ემოციური სტრესი ხშირად იწვევს დაღლილობას, უძილობას, თავის ტკივილს.

•ნივთიერებების ბოროტად გამოყენება - ზოგიერთ შემთხვევაში, დამოკიდებული ადამიანები თავშესაქცევად მიმართავენ ალკოჰოლს ან ნარკოტიკებს.

დამოკიდებულება არ არის სისუსტე – ეს არის ფსიქიკური დარღვევა, რომელიც საჭიროებს მკურნალობას. საქართველოში ამ მიმართულებით უკვე არსებობს ფსიქოთერაპიული სერვისები, ცხელი ხაზები და ჯგუფური თერაპიები, რომლებიც დახმარებას სთავაზობენ დაზარალებულებს.

გვერდი მოამზადა

✍ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

ბიბლიოთეკარი — ნახევარი საუკუნე წიგნებთან

აპრილის ბოლოს საბიბლიოთეკო კვირეული ყოველწლიურად აღინიშნება, 30 აპრილი კი ბიბლიოთეკარის დღეა. ქალაქ დედოფლისწყაროში მცხოვრებ 87 წლის ლილი ბეგიაშვილს ბიბლიოთეკაში მუშაობის 50 წლიანი გამოცდილება აქვს. სკოლის დამთავრებისთანავე ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა და მთელი ცხოვრება წიგნებთან გაატარა. ამბობს, რომ ეს პროფესია იმდენად მოსწონდა, სხვა სფეროში წასვლა აღარც უფიქრია.

ლილი ბეგიაშვილი: „დავიბადე 1938 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ანაგაში. წიგნები პატარაობიდანვე მიყვარდა. სკოლის პერიოდში ხშირად დავდიოდი სოფლის ბიბლიოთეკაში, გამომქონდა წიგნები, კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურასაც ვეცნობოდი. კითხვა ყოველთვის ჩემი საყვარელი საქმე იყო. ეს არავის გავლენით არ მომხდარა, თვითონ მქონდა ინტერესი. სკოლა რომ დავამთავრე, მაშინ ისეთი დრო იყო ინსტიტუტში ჩასაბარებლად სამუშაო სტაჟი აუცილებელი მოთხოვნა იყო. სხვა პროფესიაზე აღარც მიფიქრია, წიგნები მიყვარდა და ბიბლიოთეკარობის დიდი სურვილი მქონდა. პედაგოგობაზეც ვფიქრობდი, მაგრამ მაინც ამან გადაწონა. იმ პერიოდში თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ვაკანსია იყო და 1 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკარად ვიმუშავე, შემდეგ სტაჟი რომ მოვაგროვე მოვემზადე და ჩავბარე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობაზე. დაუსწრებელ განყოფილებაზე ვსწავლობდი, ამიტომ მალევე მუშაობაც დავიწყე. დაახლოებით 4 წელი ჩემივე სოფელში, ძველი ანაგის ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი. ბოლო კურსზე დავქორქინდი წითელწყაროში ვალიკო შეითნიშვილზე. ასე მოვხვდი წითელწყაროში. სამი შვილი, 6 შვილიშვილი და 6-იც შვილთაშვილი მყავს.

წითელწყაროში ჩემი პირველი სამსახური გაზეთ „შირაქის“ რედაქცია იყო. აქეთ გადმოსვლის შემდეგ სამსახურს ვეძებდი. მაშინ დიპლომიანი ადამიანების დასაქმება არ ჭირდა. გავიგე, რომ რედაქციაში ლიტმუშაკის ვაკანსია იყო. იმ პერიოდში წითელწყარო სიღნაღს გამოეყო და მათთან გაერთიანებული გაზეთის რედაქციაც ხელახლა ჩამოყალიბდა, ამიტომ ამ გუნდში მეც მოვხვდი. მანამდე გურჯაანში წამიყვანეს და პრაქტიკა გავიარე, რედაქციის სპეციფიკა შემასწავლეს. ძირითადად რედაქციაში შემოსული წერილების გადარჩევა და კითხვა მევალებოდა. იშვიათად წერილებსაც ვწერდი, უფრო კორექტურას ვაკეთებდი. ჩემს შემდეგ ლიტმუშაკად მოვიდა ანზორ მაძღარაშვილი, ასევე ლიტმუშაკი იყო ანზორ ჯალიაშვილი. მაშინ რედაქტორი გოდერძი ტოკლიკიშვილი იყო, ძალიან მკაცრი კაცი. წესრიგი უყვარდა და დაგვიანებას არ გვპატიობდა. ყველას რიდი და პატივისცემა ჰქონდა მისი. ასევე კარგად ვიხსენებ შოთა ბიკაშვილს, უშანგი წყარუაშვილს, თინა ფავლენიშვილსა და ბუღალტერ ლეილა ჯინაშვილს. საინტერესო პერიოდი გავატარე რედაქციაში, საოცრად კარგი ურთიერთობები იყო, ყველასთან კარგად ვიყავი. დაახლოებით 1 წელი ვიყავი „შირაქის“ რედაქციაში. ამ პერიოდშიც არ შემიწყვეტია ბიბლიოთეკაში სიარული და რადგან იცოდნენ, რომ საბიბლიოთეკო განათლება მქონდა, ისინი სულ ჩამჩიჩინებდნენ ჩვენთან გადმოდიო. ბუნებრივია, მეც მინდოდა პროფესიით მემუშავა. ამიტომ, დაახლოებით 1963 წლიდან წითელწყაროს საბავშვო ბიბლიოთეკაში დავიწყე მუშაობა. მაშინ საბავშვო და ცენტრალური ბიბლიოთეკები ცალკ-ცალკე იყო. სტალინის ქუჩაზე პატარა შენობაში ვიყავით. მაშინ საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე იყო მარო გელაშვილი, ასევე ჩვენთან მუშაობდა ეთერ ნატროშვილი. მოგვიანებით მარო პენსიაში რომ გავიდა, გამგე გახდა იზო კიკნაძე. შეიძლება გამგედ მეც დავენიშნე, ორივეს უმაღლესი პროფესიული განათლება გვქონდა, მაგრამ რადგან ის პარტიული იყო ამიტომ დანიშნეს. თუმცა, იზო დიდხანს არ ყოფილა და მალევე წავიდა. იმხანად წითელწყაროს კულტურის განყოფილების გამგე იყო თენგიზ იაკობიშვილი, მან შემომთავაზა, რომ საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე ვყოფილიყავი. დავთანხმდი და ბოლომდე ამ პოზიციაზე ვიმუშავე. ბევრი შენობა გამოვიცვალეთ: მუსიკალურ სკოლაშიც ვიყავით, ერთხანს მუზეუმშიც, სტატისტიკის შენობაშიც, სათნოების სახლის მეორე სართულზე. ასევე, ბაზართან, კრედო ბანკის შენობაში ადრე სტამბა-რედაქცია მოქმედებდა და ერთხანს ჩვენ იქაც ვიყავით. მთელი ცხოვრება წიგნებთან და ბავშვებთან გავატარე. ჩემთან ერთად საბავშვო ბიბლიოთეკაში მუშაობდნენ ანგელინა ღორაშვილი, მერი ნატროშვილი, თამრიკო ნასრაშვილი, ცეცელო ჯანაშვილი, თინიკო ელაშვილი...

საბავშვო ბიბლიოთეკა 1979 წ

გვქონდა მოძრავი ბიბლიოთეკაც. ავტობუსი გვყავდა და დავდიოდით, ლეტნიკის ტყეში 90-იან წლებამდე მოქმედებდა საზაფხულო ბანაკი, ასევე საბავშვო ბაღებში მივდიოდით და წიგნებს ვტოვებდით, შემდეგ ვცვლიდით. ასევე სოფლის ბიბლიოთეკებში დავდიოდით და ვამოწმებდით. მაშინ სხვა დრო იყო, მეტი ინტერესი არსებობდა. განსხვავებული მიდგომები და მუშაობა იყო, მოთხოვნაც სხვანაირი გვქონდა. თითქოს უფრო მეტი ხალისი იყო. ახლა ბიბლიოთეკების მიმართ ასეთი ინტერესი აღარ არის. ყოველდღიურად ბიბლიოთეკებში რიგები გვედგა, მაშინ ამდენი გასართობი და ინფორმაციის მიღების საშუალება არ იყო და ყველა კითხულობდა. განვითარებამ და თანამედროვე ტექნოლოგიებმა ბევრი რამ შეცვალა. ახლა სადაა ამდენი მკითხველი?! მაშინ აღრიცხვას ვაწარმოებდით და მკითხველთა რაოდენობა ყოველწლიურად მზარდი იყო. ყველანაირ თარიღს ვეხმაურებოდით და ღონისძიებებს ვატარებდით, სკოლებში დავდიოდით. შესანიშნავი და ძვირფასი წიგნადი ფონდი გვქონდა როგორც ქართული, ისე რუსულენოვანი. სხვათაშორის სკოლებს შორის ძალიან აქტიურობდა მაშინდელი რუსული სკოლა, რომელსაც ამჟამად ხორნაბუჯის სკოლა ჰქვია. აქტიურად მიჰქონდათ როგორც ქართული, ისე რუსული წიგნები.

— ***რომ არა ბიბლიოთეკარი, რა პროფესიას აირჩევდით?***

— პედაგოგობაზეც ვფიქრობდი... სხვათაშორის, შემეძლო კიდეც, რომ მესამე კურსიდან საბუთები გადამეტანა ისტორიულ, ან ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე, მაგრამ იმდენად მიყვარდა წიგნები და ისე მინდოდა ბიბლიოთეკაში მუშაობა, ჩემი არჩევანისთვის არ მიღალატია, ბოლომდე ვუერთგულე. ნახევარ საუკუნეზე მეტი ბიბლიოთეკაში გავატარე, მაგრამ არ არის ეს რუტინული საქმე, ყოველი წიგნი ახალი თავგადასავალია და ყოველთვის რაიმე ახალს სწავლობ.

— ***თუმცა, ტექნოლოგიების განვითარებამ ბეჭდურ მასალაზე მოთხოვნა და ინტერესი შეამცირა...***

— დღეს რომ ვუყურებ, გული მწყდება. რა თქმა უნდა, აშკარაა, რომ წიგნი ფუნქციას კარგავს. ტექნიკის განვითარებამ ადამიანის ჩვევებიც შეცვალა. ახალ თაობას აღარ უნდა წიგნის კითხვა, უმრავლესობა კომპიუტერსა და ტელეფონში იყურება და ასე იღებს ინფორმაციას. ადრე ცხადია ასე არ იყო. ჩემს დროს უფრო მეტი ხელშეწყობა იყო სახელმწიფოს მხრიდან ბიბლიოთეკების მიმართ. ყოველწლიურად შემოდიოდა ახალი გამოცემები. სავსე ავტობუსს დავცლიდით ხოლმე და ღამეებს ვათევდით მის დაკომპლექტებაზე. ახლა ახალი გამოცემების ბიბლიოთეკებში მასიური განაწილება აღარ ხდება.

— **რას ურჩევდით ახალგაზრდებს და რა უნდა გაკეთდეს, რომ წიგნმა ფუნქცია არ დაკარგოს?**

— დრო იცვლება და მუდმივად იცვლება რეალობაც. ვფიქრობ, წიგნის აქტიური პოპულარიზაცია უნდა მიდიოდეს ახალგაზრდებში, უფრო აქტიური კონტაქტი სკოლებთან, ახალგაზრდობასთან, მოსახლეობასთან. მეტი ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვაა საჭირო. მოზარდს სახლშიც და სკოლებშიც უნდა უხსნიდნენ, რომ წიგნი შეუცვლელია. მოზარდებს ვურჩევდი მეტი დრო გაატარონ წიგნთან, ენდონ ჩემს დიდ გამოცდილებას და დარწმუნდებიან, რომწიგნი სულ სხვა ემოციასა და განცდებს გგვრის. კომპიუტერი და ტელეფონი ამ ემოციებს ვერ აღძრავს. ვფიქრობ კარგი თაობა გვყავს და მინდა მშვიდობა ჰქონდეთ, განვითარების შესაძლებლობა მიეცეთ.

— ***საყვარელი წიგნი, ან ავტორი?..***

— ნამდვილად ვერ გამოვარჩევ. ყველა წიგნი საინტერესოა და ყველა ავტორი თავისებურად კარგია...

2005 წლიდან სამსახური დავტოვე და პენსიაში გავედი. 2023 წელს კი უბედური შემთხვევა მოხდა. იმ დღეს ეზოში ვიყავი, დილით აბაზანაში შევედი ხელის გადასაბანად, ცხელი წყალი რომ მოვხსენი უცებ აფეთქების ხმა გაისმა, როგორც ჩანს გაზმა გაჟონა და როგორც თქვეს წნევამ ჭერი აწია და ზედა სართულზე კედლები დაბზარა. ახლაც არ ვიცი, როგორ გადავრჩი. ალბათ იმან გადამარჩინა, რომ აირი ძირითადად მეორე სართულზე დაგროვდა, მე კი დაბლა შევედი. რადგან აბაზანაში ვიყავი დაზიანებები არ მიმიღია. ცოცხალი გადავრჩი, მაგრამ სახლი ისეთი ამორტიზებული იყო, დასაშლელი გახდა. საცხოვრებლად სახიფათო იყო და სხვა გზა არ გვქონდა. არავინ დაგვხმარებია, ჩემმა შვილმა საკუთარი ძალებით და კეთილი ადამიანების დახმარებით მოანგრია ზედა სართული და ხელახლა აშენებს. დიდი სტრესი იყო ჩემთვის, რომ ასეთ ასაკში ეს შემემთხვა.

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

მშვიდი და უსაფრთხო გადაადგილებისთვის

ავტომობილების გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა ქალაქებში და სხვა დასახლებულ პუნქტებში.

ბოლო რამდენიმე კვირაა, რედაქციას სხვადასხვა ქუჩის მაცხოვრებლები მომართავენ ჩივილით, მათ ქუჩაზე ავტომობილების გაჭარბებული სიჩქარით მოძრაობის შესახებ. ისინი ამის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ, განსაკუთრებით ეს ხდება საღამოს საათებში. აქვე ვისარგებლებ მომენტით და დავამატებ ჩემს გულისტკივილს და შეშფოთებას, ღამის საათებში ე.წ. „გეორქას სამშენებლო მაღაზიის“ (რკინიგზის სადგურის გადასწვრივ) მიმდებარედ გამმართულ დრიფტზე, გადაჭარბებული სიჩქარით და მუხრუჭების ხრჭიალით. ეს გრძელდება ხოლმე 5-7 წუთი, თითქმის ყოველ საღამოს. (ერთი პერიოდი აღარ ხდებოდა ასეთი რამ, მაგრამ რამდენიმე თვეა, ისევ რეგულარულად ტარდება საღამოობით (ღამე) აღნიშნული ქმედებები.

გადაჭარბებული სიჩქარე ხშირად იწვევს საგზაო შემთხვევებს, რომლებიც შეიძლება დასრულდეს მძიმე დაზიანებებით ან ადამიანების სიცოცხლის მოსპობით. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობა სიჩქარის ზღვარს მკაფიოდ განსაზღვრავს, ეს რეგულაციები ხშირად არ სრულდება და ბევრი მძღოლი უგულებელყოფს უსაფრთხოების წესებს.

დასახლებულ პუნქტებში, სადაც მოძრაობა ინტენსიურია და ქვეითად მოსიარულეთა რაოდენობა მაღალია, სიჩქარის გადაჭარბება განსაკუთრებით საშიში ხდება. ქუჩებზე გადაადგილდებიან ბავშვები, მოხუცები და სხვა მგზავრები, რომლებსაც შეიძლება გზის გადაკვეთა სჭირდებოდეთ. გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომობილი მათ საფრთხეს უქმნის, რადგან დროულად დამუხრუჭება ან მანევრის შესრულება რთულდება.

პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი არის მძღოლების მოუთმენლობა, დაუდევრობა და ზოგჯერ - აგრესიული მართვა. ბევრ მათგანს არ აქვს საკმარისი ცნობიერება იმის შესახებ, რომ გადაჭარბო სიჩქარეს იქ, სადაც მაღალია მოძრაობის კონცენტრაცია, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ სხვებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც. ამასთანავე, ტექნოლოგიური პროგრესი და მძლავრი ავტომობილები მძღოლებს აძლევს შესაძლებლობას, სწრაფად იმოძრაონ, რაც ხშირად სიფრთხილის გარეშე ხდება.

პრობლემის მოგვარება შესაძლებელია სხვადასხვა გზით. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მკაცრი კონტროლი - ეფექტური ვიდეოკამერები, სიჩქარის მზომი მოწყობილობები და პატრულის რეგულარული მონიტორინგი. გარდა ამისა, საჭიროა საინფორმაციო კამპანიები, რომლებიც გააცნობიერებს საზოგადოებას სიჩქარის გადაჭარბების შედეგებს. განათლებისა და ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში, რომლებსაც ხშირად აქვთ სარისკო ქცევა გზაზე.

ასევე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული ცვლილებები - დაწეული სიჩქარის ზონების შექმნა სკოლებთან, საავადმყოფოებთან და პარკებთან, დამაბრკოლებელი ბარიერები და საგზაო ნიშნების გაუმჯობესება.

დასახლებულ პუნქტებში უსაფრთხოების დაცვა ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი. მძღოლების პასუხისმგებლობა, სახელმწიფოს მკაცრი კონტროლი და საზოგადოების ცნობიერება - ეს ყველაფერი ერთად უზრუნველყოფს იმ გარემოს, სადაც ადამიანები შეძლებენ მშვიდად და უსაფრთხოდ გადაადგილებას.

✍ **ელზა ხარაშვილი**

80 წელი მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან

„გრუშკიანთ“ ივანე — ომგამოვლილი მასწავლებელი ზემო ქედიდან

ზემო ქედში ივანე წიკლაური ყველასთვის საყვარელი მასწავლებელი იყო. ჯარში გაკვეთილიდან წაიყვანეს და თავი სამამულო ომში ამოყო. ომიდანაც უვნებელი დაბრუნდა და კვლავ მასწავლებლობა გააგრძელა. ერთი წლის წინ მისი ცხოვრებიდან ერთი პატარა ჩანახატი გამოვაქვეყნეთ, ახლა კი მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მივაკვლიეთ „გრუშკიანთ ივანეს“ ხელით ფურცლებზე ვრცლად დაწერილ მოგონებებს, რომელიც ფრონტის თავგადასავლებს ეხება და საინტერესო დეტალებს თავადვე გვიამბობს.

ივანე გიორგის ძე წიკლაური: „დავიბადე ახლადფეხადგმულ სოფელ ზემო ქედში, 1921 წლის 14 იანვარს, ღარიბი გლეხის ოჯახში. დავიბადე ერთ მოწნულ ქოხში, სადაც დილის მზე ძლივსა წვდებოდა, დილიდან დაღამებამდე მზის სითბო არსით არა ხვდებოდა. ბავშვობიდან ამყვა სიღარიბის დუხჭირი ცხოვრება. სკოლამდელ ასაკში ჩემი დისგან, რომელიც ახალგაზრდული უჯრედის ხელმძღვანელი იყო, შევისწავლე წერა-კითხვა. მე თვითონ მივუმატე ხატვა. ვწერდი და ვხატავდი მტვერზე, ღუმელის კედლებზე და კვამლსადენებზე. **დაწყებითი განათლება ზემო ქედის სკოლაში მივიღე. 1936 წელს წარჩინებით დავამთავრე შვიდწლედი. სწავლის გაგრძელებაზე აღარ მიფიქრია. ან სად უნდა წავსულიყავი, საშუალო სკოლა ზემო ქედში გვიან გაიხსნა.** მდგომარეობამ მიკარნახა სამუშაოდ წავსულიყავი კომუნაში, რომლის წევრი გავხდით 1927 წელს, დაარსების მეორე წლიდან. როცა დილიჩაში, სათიბ მანქანაზე მეხრედ ვმუშაობდი, ჩემი სოფელში დაბრუნების განკარგულება მოვიდა. მიბარებდა კობა ჩოხელი და სკოლის დირექტორი ლადო მელიქიშვილი. სწორედ მათი წყალობით 1936 წელს 5 სექტემბრიდან მოვეწყე სიღნაღის პედაგოგიურ სასწავლებელში. 1939 წელს დავამთავრე და მუშაობა დავიწყე ჩემივე სოფელში მასწავლებლად.

ძალზე მოკლე აღმოჩნდა სკოლაში ჩემი მასწავლებლობა. 1939 წლის დეკემბერშივე გამომიძახეს სამხედრო კომისარიატში. ქ. სიღნაღში კომისიაზე გავლის შემდეგ სახლში დაუბრუნებლად გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. პირველი თვეები და პირველი ძალზე უჩვეულო ზამთარი უკრაინაში, ვინიცის ოლქის ქალაქ გაისინში გავატარე. აქ ქართველები ძალიან ბევრნი ვიყავით. მარტო ჩვენი სოფლიდან ერთ დღეს ერთ ნაწილში 36 ახალგაზრდა ვიყავით. მათ შორის სამი მასწავლებელი, მე, ვანო წიკლაური და სიმონ ტყემალაძე. გამოზაფხულებისას დავტოვეთ ქალაქი და დაიწყო სვლა გაუგებარი მიმართულებით. 1940 წლის აგვისტოში ჩვენი ნაწილი პირველი შევიდა ბესარაბიაში შემოერთების მიზნით. ბესარაბიიდან კვლავ უკრაინაში და იქიდან დასავლეთ უკრაინაში დავბინავდით. მე სწორედ აქედან წამიყვანეს სამხედრო საჰაერო ტექნიკურ სასწავლებელში. მინდოდა მფრინავი ვყოფილიყავი. ბავშვობიდანვე მომწონდა ეს პროფესია. იმდენად მიყვარდა, ხის, ფანერის, კარდონისა და ქაღალდისგან თვითმფრინავების სხვადასხვა მოდელებს ვამზადებდი. ზოგიერთი კარგად გამომდიოდა და კარგად დაფრინავდა. სასწავლებელში ვერ მოვხვდი რუსული ენის უცოდინრობის გამო. დავამთავრე სამხედრო საჰაერო იარაღების სპეციალობა. ომის დაწყების წინა თვეს სასწავლებლიდან განანილებით გამიშვეს საჰაერო გამანადგურებელ 165-ე პოლკში, რომელიც იდგა ლვოვის ოლქის ქალაქ სტრიში. ეს იყო ჩემი პირველი პრაქტიკული და დამოუკიდებელი სამსახური საბრძოლო თვითმფრინავებზე. აქვე დავიწყე თვითნაკეთი დანადგარის აწყობა, რომლითაც სროლის წარმოება შეიძლებოდა. ეს ცოდნა ერთი ამხანაგისგან მივიღე, მაგრამ ვერ დავასრულე, ომი დაიწყო...

პოლკში შტაბის უფროსის ველესიანის გარდა ქართველი არავინ იყო, მინდა შევეხო ომის დაწყების პირველ დღესა და წუთებსაც კი. შაბათს, 21 ივნისის ნაშუადღევს მოსული ბრძანების მიხედვით, სამის გარდა, ყველა თვითმფრინავიდან მოვხსენით იარაღი და სახელოსნოში გადაგვატანინეს შემოწმებისა და წმენდის მიზნით. თვითმფრინავებში არც საწვავი იყო. სამი კი გავამზადეთ მეორე დღეს დანიშნული საჰაერო ტაქტიკური მეცადინეობისთვის. სამუშაოები ადრე მოვამთავრეთ და გავემზადეთ, საღამოს კინოში ვნახეთ საბჭოთა ავიაციის მოქმედება იაპონიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ღამე ბევრი ჩაძინებულიც იყო, მე გამომიძახეს, სადაც ბრძანებით გარნიზონის დამატებით დაცვაში გაგვიყვანეს. სურვილის მიხედვით უნდა ამეყვანა 5 სხვა. ჩემს კარავში მაცხოვრებლები წავიყვანე. გათენებამდე ვუვლიდით გარნიზონს, მეორე დღეს კი თავისუფალი ვიყავით, მაგრამ... კვირას უთენია, უფრო ზუსტად 4:20 საათზე საბრძოლო განგაში გამოცხადდა. ამავე დროს თითქმის დაბომბვაშიც მოვყევით. **შავი ჯვაროსანი თვითმფრინავები ისე დაბლა მოძრაობდნენ, სიბნელეში ფაშისტურ ნიშნებს ვერ ვარკვევდით. თავიდან ტაქტიკური მეცადინეობა გვეგონა, მეზობელი პოლკის თვითმფრინავებად ჩავთვალეთ. მაგრამ, აფეთქებები, ხანძრები, დაჭრილთა გოდება გვამცნობდა, რომ საქმე სერიოზულად იყო. იმ დილას ჩვენმა პოლკმა 5 თვითმფრინავი ისე დაკარგა,** ჰაერშიც არ ასულან. დილის საათებში მოიტანეს ბენზინი, გამოუცდელი და ახალგაზრდები ვიყავით, ამიტომ დიდი შიშითა და მალვით ჩავასხით საწვავი და თვითმფრინავები გავამზადეთ. ჩვენმა მფრინავებმა მოასწრეს კიდეც 3-4 საბრძოლო გაფრენა და ორი საჰაერო ბრძოლა ჩვენს თავზე. ჩამოაგდეს მტრის 2 თვითმფრინავი. საღამო ხანს უკან, ახალ აეროდრომზე გადმოვედით. ჩვენი პოლკი და ესკადრილია, რომლის შემადგენლობაშიც ვიყავი, 8 და ზოგჯერ მეტ გაფრენას ახდენდა მტრის თავზე. პოლკი ღამით არ ფრენდა, ამიტომ ღამით ტექნიკას ვამზადებდით მეორე დღეს გასაფრენად.

მებრძოლის ჩანაწერები

აეროდრომებს ხშირად ვიცვლიდით, უკან ვბრუნდებოდით, ჩვენ რომელიმე ტრანსპორტით, მფრინავები თვითმფრინავებით. მალე გამოინახა გადანაცვლების უფრო სწრაფი საშუალება. ერთი ასეთი ეპიზოდიც მახსენდება, ბრძოლა დაჭრილ თვითმფრინავთან: უკან მოვდიოდით, როცა საწინააღმდეგო მხრიდან დაბალ სიმაღლეზე მომავალი თვითმფრინავი შევნიშნეთ. მანქანა გაჩერდა, ყველა გადახტა. მე კი რატომღაც მარტო აღმოვჩნდი ძარაზე, ყოველგვარი აღჭურვილობის გარეშე. დაუფიქრებლად მივვარდი საზენიტო დანადგარს, ახლო მანძილიდან მოვასწარი ორი რიგის მიცემა. თვითმფრინავმაც თავზე გადამიფრინა. ზურგიდან მივაყოლე კიდევ ორიოდე რიგი, მაგრამ როგორც თანამებრძოლებმა შემდეგ მითხრეს, უკვე საჭრო აღარ იყო. პირველივე სროლისას ძრავა აბოლდა, თვითმფრინავმა სიმაღლის კარგვა დაიწყო. სადღაც ტყის სიღრმიდან აფეთქების ხმაც გაისმა. თურმე მას საბჭოთა გამანადგურებელიც მოსდევდა, მაგრამ ის კარგა შორს ყოფილა. მალე მანაც გადაგვიფრინა, მოგვესალმნენ და ალბათ გამარჯვებაც მოგვილოცეს, მაგრამ შეიძლება ეწყინათ კიდეც, კარგი ლუკმა რომ წავართვით. მაშინ პოლკში ვიწრო წრე მიცნობდა. სულ ერთი თვის მისული ვიყავი, მერე კი ბევრი გულშემატკივარი გამიჩნდა.

ივანე წიკლაური, შალიკო ვარძუკაშვილი, სტეფანე ციხიშვილი 1981 წ მაისი

ის იყო ჩვენი ბიჭები მორიგი ბრძოლიდან დაბრუნდნენ, ბრძანება მოვიდა გადაბაზირებაზე. სასწრაფოდ გავამზადეთ თვითმფრინავები და ჩვენც მოვემზადეთ. **მე და ჩემს მეგობარს გვიბრძანეს საწყობი აგვეფეთქებინა, რომელშიც ალბათ მნიშვნელოვანი ტვირთი იყო და მტერს არ უნდა გამოეყენებინა. ეს ხდებოდა ქალაქ უმანთან. დავაპირეთ ბრძანების შესრულება, მაგრამ სისრულეში ვერ მოვიყვანეთ.** ჩვენთან მოვიდა ოფიცერი, რომელმაც ჯერ გვთხოვა, მერე გვიბრძანა, დავხმარებოდით მტრის შემოტევების მოგერიებაში. შეტევა იწყებოდა და ტყის პირას, სადაც არტილერისტები ჩამომდგარიყვნენ, უცნობმა მოკლედ გაგვაცნო სროლის ტექნიკა. შემოტევა დაიწყო, სულ 6 ტანკი მოიწევდა ჩვენსკენ დესანტით. ამან ნაადრევი პანიკა შექმნა უმანში და ქალაქი დაიცალა. გზები გადატვირთული იყო ხალხით. ბრძანებისთანავე გავხსენით ცეცხლი, ტანკი სვლას განაგრძობდა. ყუმბარა გასცდა, მეორემ იქამდე ვერ მიაღწია, მესამე სროლაზე კი გვერდით მოტრიალდა და გაჩერდა. სხვა გათვლებითაც შევძელით სამი ტანკის მოსპობა. ფეხოსან მტერს კი მერე გავუმასპინძლდით. იერიში წარმატებით მოვიგერიეთ. ჩვენთან მსუბუქი მანქანა შეჩერდა, მიხმეს, ეტყობოდა დიდი მეთაური იყო. ვინაობა გამომკითხა, ხელი მომხვია და შემაქო. ჩემი ამხანაგი დაჭრილი წაიყვანეს და აღარასოდეს აღარ მინახია. **მეთაურმა ადიუტანტს უბრძანა ჯილდოზე წარვედგინე და ბლანკი შეავსეს. გაზეთშიც გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ავიატორი არტილერისტი“. ამ გაზეთს დიდხანს ვინახავდი, მერე დამეწვა.** ამავე მანქანით დავეწიეთ ჩვენს ნაწილს. გეზი ნოვოჩერკასკისაკენ ავიღეთ. ამაზე პოლკში კი არა დივიზიაშიც კი ლაპარაკობდნენ. მთავრობის ჯილდო მამაცობისთვის მალე მივიღე, მეორეზე პასუხი დიდხანს არ ჩანდა და დავივიწყე. და აი, **1943 წლის გაზაფხულზე მივიღე ჯილდო, მესამე ხარისხის ორდენი „დიდება“. ამავე წლიდან „სტარშინის“ წოდებით დამნიშნეს ესკადრილიის ინჟინერის მოადგილედ საჰაერო იარაღის დარგში. ომის დამთავრებამდე ამ თანამდებობაზე ვიყავი.** ამავე წლის მაისში მიმიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში კანდიდატად. მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირის ბილეთი, რომელიც ომის პირველივე დილას ალმოდებული კარვიდან ძლივს გამოვიტანე და გადავარჩინე, მალევე გაუგებარ ვითარებაში დავკარგე. პერიოდულად პოლკის ინჟინერის მოვალეობასაც ვასრულებდი. 1944 წლის მაისიდან შეთავსებით ვიყავი ესკადრილიის ძირეული პარტიული ორგანიზაციის მდივანიც. ჩვენს პოლკს ევალებოდა ქალაქ გორკის დაცვა და სამხრეთდასავლეთის ფრონტების შევსება.

1941 წელს შერჩენილი თვითმფრინავები მეზობელ პოლკს გადასცეს. ჩვენი პოლკი კი ახალი თვითმფრინავების შესარჩევად მოსკოვში ჩავიდა. იქ ორი თვე ვმეცადინეობდით, დილით ათვისებას ვუნდებოდით, ღამით საბრძოლო მოქმედებებში ვეხმარებოდით. ასე რომ მოსკოვის დაცვაშიც ვმონაწილეობდით. დეკემბრის ნახევარში კი ქ. გორკში ახალი თვითმფრინავებით გაგვაგზავნეს, ერთი წლის შემდეგ კი პოლკი კიდევ ახალი თვითმფრინავებით აღიჭურვა. 1943 წლიდან ჩვენი პოლკი მთლიანად სპეციალური ბრძანებით იყო ქ. გორკის დაცვის ძირითადი ძალა. ომის დასრულებამდე აქვე დავრჩით. პერიოდულად ფრონტებზე მიხმარებას ვახდენდით, დღეში 8-10 გაფრენისთვის ვამზადებდით თვითმფრინავებს. 1944 წელს ჩვენი პოლკი უკვე დაჯილდოვდა მთავრობის ჯილდოებით. მათ შორის მე მივიღე მედალი „საბრძოლო დამსახურებისთვის“, ეს ჩვენს პოლკში პირველი ჯილდოები იყო. პოლკში პირველი შვებულება მე მხვდა წილად. 15 მაისიდან 1 თვით სახლში ვიყავი. 1945 წელს, ომის დასრულების შემდეგ კი დამაჯილდოვეს მედლით „გერმანიაზე გამარჯვებისთვის“. 1946 წლის 12 მაისიდან უმცროსი ლეიტენანტის წოდებით დავბრუნდი სოფელ ზემო ქედში. მუშაობა გავაგრძელე დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებლად იმავე სკოლაში, სადაც ვმუშაობდი. 1948 წლიდან შეთავსებით ვმუშაობდი ზემო ქედის კულტსახლის დირექტორად, რათა სტაჟი მომეგროვებინა. 1976 წელს განათლების დარგში დამაჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით. მიღებული მაქვს სხვა მრავალი მედალიც“.

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

რატომ ჩამოდიოდა ვაჟა-ფშაველა თუქურმიშასა და ქედში?

საუკუნის ამბები

დიმიტრი ჯალიაშვილი 1875 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ ფანიანში დაიბადა. მაშინ დედოფლისწყაროც სიღნაღს ეკუთვნოდა. სხვების მსგავსად დიმიტრისაც მოუხდა ემუშავა დედოფლისწყაროში. მისი მონათხრობი 1961 წელს იოსებ ქართველიშვილმა ჩაიწერა და „შირაქის“ რედაქციას გადასცა. მაშინ დიმიტრი 86 წლის იყო და ბევრი საინტერესო დეტალი შემოუნახა ისტორიას. მოსაყოლი კიდევ ბევრი იყო, მაგრამ, ჩაწერა ვეღარ მოესწრო.

„თვითმპყრობელური მეფის რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი ფილიპე მახარაძე გადასახლების სასჯელს ქვემო მაჩხაანში იხდიდა და იქვე დეპოში მოლარედ მუშაობდა. 1900 წელს ქვემო მაჩხაანის თემში შედიოდა სოფლები ზემო მაჩხაანი და მირზაანიც.

1903 წელს დუშეთისა და თიანეთის მთის უღარიბესმა მოსახლეობამ თვითნებურად დაიწყო შირაქში ჩამოსახლება. ეს არ ეპიტნავათ სიღნაღის მაზრის მდიდარ მესაქონლეებს, რომელთაც შირაქის ველზე ათასობით სული ცხვარი, ასეულობით ძროხა და ცხენი, ასევე რამდენიმე ათეული მოჯამაგირე ჰყავდათ. წუხდნენ, თითქოს მათ საძოვარი მინდორი შეუმცირდებოდათ. ჩამოსახლებულებმა ცხოვრება დაიწყეს ქედების ყაშების გაყოლებაზე.

სიღნაღის მომრიგებელმა მოსამართლე საშა ჯორჯაძემ დაგვიბარა ქიზიყის სასოფლო თემის მდივნები, მოგვცა სახელმწიფო ღერბიანი ფურცლები და დაგვავალა „განაჩენი“ შეადგინეთო. უნდა დაგვეწერა, რომ მთიდან ხელმოკლე ოჯახებს ჩამოსახლება სურდათ შირაქში. რადგან ალაზან-შირაქ-ივრის ველები ადმინისტრაციულად სიღნაღის მაზრას ექვემდებარებოდა, უნდა დაგვეწერა, რომ ჩვენ თანახმა ვიყავით ამაზე. განაჩენის წერისას ვიყავით ქვემო მაჩხაანიდან მე, ზემო მაჩხაანიდან — **მკალავი თომა ტოკლიკიშვილი**, მირზაანიდან — **ალექსანდრე გომელაური**, ბოდბისხევიდან მირზაანელი **გიგო გომელაური**. ეს განაჩენი ჯორჯაძემ მთავრობაში წაიღო. მასთან ახლოს ვიყავი და ერთხელ საიდუმლოდ გამიმხილა, სოფლების განაჩენი იმიტომ შეგადგენინეთ, ეს ვაჟა ფშაველამ მთხოვაო. მას იმდენად დიდ პატივს ვცემ, მისი გულისთვის ცეცხლში ჩავდგებიო. ვაჟა ფშაველა არც სიღნაღში მენახა, არც ქვემო მაჩხაანში, ის კი ვიცოდი, რომ ქვემო მაჩხაანში დიმიტრი მაჩხანელთან ყოფილა და ამბობენ, სურათიც აქვთ გადაღებულიო. ვაჟა-ფშაველას და დიმიტრი მაჩხანელს გაზეთებში ვკითხულობდი და მათი მოყვარული ვიყავი. დღემდე ზეპირად მახსოვს ვაჟას ლექსი:

„მოგესალმებით ქედებო,
მომაქვს სალამი, გვიანი“..

1913 წელს გაზაფხულზე ვაჟა-ფშაველას შევხვდი, როცა მეცხვარეები ალაზნის, შირაქისა და ივრის ველებიდან მთაში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. ცხვარს იქვე პარსავდნენ, იმ დროს მე მატყლის შემსყიდველი ვიყავი. შემსყიდველები ასევე იყვნენ ბოდბისხეველი მიშო ბატიაშვილი, მირზაანელი ლადო ალუღიშვილი. მე მატყლს ვყიდულობდი ქედებში, ალუღიშვილი ტარიბანაში, ფუთ მატყლში მწყემსს 5 მანეთს ვაძლევდით. ერთხელ მატყლის ყიდვა რომ დავამთავრე, ხაზეინს ვთხოვე რამდენიმე დღე გამიშვი მეთქი. მელინეიკეს დაუძახა, რომელსაც 4 ცხენი ება და უთხრა ქედებში გააყოლეო. **მე ლინეიკის ერთ მხარეს ვიჯექი, მეორე მხარეს უცნობი კაცი იჯდა, ასე გავემგზავრე ქედებში. ბოდბისხევის კალოებს რომ მივუახლოვდით, მაშინღა გამოვეხმიანეთ ერთმანეთს, მე ჩემი ვუთხარი, იმან თავისი და გავოცდი, როცა გავიგე, რომ თანამგზავრი ვაჟა-ფშაველა იყო.** ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უფრო მოკრძალებული საუბარი დავუწყე. ვაჟამ მითხრა: „დიმიტრი, შენ ივანე ნიბლოშვილის დაქირავებული მოჯამაგირე ხარ, შენი დახმარებით მეცხვარეებს შესყიდვაში ატყუებსო. ჩარგლიდან შირაქში ამიტომ ჩამოვედი, ნიბლოშვილს მატყლი 2-3 მანეთად უნდოდაო. **ზემო ქედის მამასახლისი გრიგორი ვარდაშვი,** ასევე **ქვემო ქედის მამასახლისი ბერო აპრილაშვილი** გავაქეზე, მეცხვარეები გაეფრთხილებინათ მატყლი 5 მანეთზე ნაკლებ არ გაყიდონო. ვაჟა-ფშაველასთან ამ დიალოგმა 1903 წელი გამახსენა, ს. ჯორჯაძემ მაშინ ერთი საიდუმლო გამიმხილა. ეს ამბავი ვაჟას ჩავუკაკლე. მან გაიღიმა, მხარზე ხელი დამკრა, ყოჩაღო მითხრა და ხელი ჩამომართვა. „მეგონა ქედელების მოცოდმადლე მარტო მე ვიყავი, თურმე წილი შენცა გქონიაო“. ზემოთ ხსენებული განაჩენები ჩემი თხოვნით დაგაწერინათო. ამ საუბრით ჩამოვედით თუქურმიშაში. იმ დღეს ვაჟა თუქურმიშაში დარჩა, წაწალაშვილებთან, მე კი ფანიანში წავედი.

1924 წელს ზემო ქედში მუშაობა დავიწყე სასოფლო საბჭოს მდივნად. იქ ვაჟას მცნობთაგან ხშირად მესმოდა, რომ ვაჟას მდიდარი თუში მეცხვარეების მარშალ-თავკაცის სანდრო ცისკარაშვილისათვის უთქვამს — „სადაც მე ქუდმოუხდელად შევალ, შენ იქ არ მიგიღებენო“. მინატრია, ერთი წამოახედა ვაჟა და აჩვენა, მის ჩამოსახლებულ მთიელებს, რომლებიც ნაგომრებში ცხოვრობდნენ, ახლა როგორი ქვითკირის სახლები წამოუჭიმავთ, განაპირა ქალაქს წააგავს ერთმანეთზე გადაბმული ქედის სამი დიდი სოფელი“.

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

სარედაქციო ფოსტა

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 80 წლისთავია, ყველას ვულოცავ ამ თარიღს. ახლაც ყურებში ჩამესმის ომის საშინელი გრუხუნის ხმა კავკასიონიდან. ალაგ-ალაგ წერტილები ნათდებოდა და თვითმფრინავების ხმა გვესმოდა. პატარა ვიყავი და კავკასიონისკენ ყოველ დღე დამფრთხალი ირემივით ვიყურებოდი. ჩვენი სოფლის მოპირდაპირე მხარეს გავყურებდი და მეგონა აი, ახლა დაგვბომბავენ, ან ახლა მეთქი. მახსოვს, ღამე მშობლები ჩაცმულს გვაძინებდნენ, რომ თვითმფრინავების ხმის გაგონებაზე მაშინვე ტყისთვის შეგვეფარებინა თავი. სინათლეს ვერ ვანთებდით, მხოლოდ ლამფის ბჟუტავი ალით ვსარგებლობდით. მშობლებს ძილისთვისაც არ ეცალათ. დედაჩემი მესამე შვილს ელოდებოდა და ტირილით უვლიდა მაგიდას გარშემო. ორგვარი შიში იყო, მშვიდობიანად მოახერხებდა თუ არა მშობიარობას და როგორ გადავრჩებოდით მისი მცირეწლოვანი შვილები. დედას ტკივილები რომ დაეწყო მამამ ნათესავთან წაგვიყვანა ღამის გასათევად. მე 4 წლის ვიყავი, ხელში აყვანილი მივყავდი, გზაში ვტიროდი, მეშინოდა გერმანელების. თვითმფრინავები ძლიერი ხმაურით მოფრინავდნენ, პროჟექტორების ნათება უფრო საშიშს ხდიდა ამ ხმაურს. ვხედავდი როგორ ნათდებოდა კავკასიონის იქით და ისმოდა ხმაური. ტირილს კი უფრო ვუმატებდი. ჩემი და უფროსი იყო და არ ტიროდა, ჩუმად იყო. ასე შიშით მივაღწიეთ ნათესავთან, მამამ ნინა დეიდასთან დაგვტოვა და სახლში დაბრუნდა მშობიარე ცოლთან, ნინა დეიდაც თან წაიყვანა, რომ ექიმებს მშობიარობაში დახმარებოდა. რომ გათენდა გავიგეთ, ჩემი მესამე და გაჩენილიყო. ნინა დეიდას დაულოცნია: „ბავშვის გაჩენა და ომის დამთავრებაო“. 10 აპრილს ბავშვი დაიბადა და 9 მაისს ომი მართლაც დამთავრდა. ამან დიდად გაახარა მთელი ოჯახი და ქვეყანა. მართალია ბიჭი უნდოდათ და გოგო გაჩნდა, მაგრამ ომის დამთავრებამ სიხარული მოიტანა. ჩემს დაიკოს სტალინის შვილის, ნათელას სახელი დაარქვეს. ამით სტალინს, ჩვენს გადამრჩენელს მადლობა გადაუხადეს შორიდან, რადგან მშვიდობა იქნებოდა და ყველა გადავრჩებოდით.

1945 წლის 9 მაისმა ყველას გული გაახარა, მაგრამ ჩემი და ბევრის ნათესავები შეიწირა. დედაჩემის დის ქმარი თედო კვეზერელი, 4 შვილის მამა, ვერც კი გაიგეს სად და რომელ ქალაქში მოკლეს ფაშისტებმა. აგრეთვე საწოლის ქვეშ მკვდარი უნახავთ დედას ბიძაშვილი ქიტა ოდიშელიძე, ისიც 4 შვილის მამა. დედას ბიძაშვილი ნიკო ოდიშელიძე მშვიდობით ჩამოვიდა სახლში, გადაურჩა სიკვდილს, თუმცა ცალხელიანი დარჩა. თვალწინ მიდგას შეშას ცალი ხელით როგორ ჩეხავდა. ასევე მეზობელი ნიკუშა თუნიაშვილი რომ დაბრუნდა ფრონტიდან, ყველას უყვებოდა თავისი ტყვედ ყოფნის პერიოდს, როცა გერმანიაში ჰყავდათ, ამბობდა ყველას ბაყაყის კონსერვებს აჭმევდნენო.

გონაშვილი კოლა ცალი ფეხით და კასტილებით ჩამოვიდა თავის ცოლშვილთან. ჩემი მამამთილი გოგია იაკობიშვილი, 7 წლის შემდეგ ჩამოვიდა, ცუდ პირობებში იბრძოდა და გვიან მოუწია დაბრუნება.

როგორც ჩემი მამამთილი იხსენებდა: ომის დროს შემოვლაზე ერთ სახლში ნახეს პატარა ბავშვი, რომელიც ოთახში ტიროდა. პოლიციამ წაიყვანა და სიკვდილს გადაარჩინა. ტანსაცმელზე ეწერა, რომ ირინა ერქვა. მისი გადარჩენისთვის მადლობა დაიმსახურა. ომიდან დაბრუნების შემდეგ მამამთილს კიდევ ეყოლა ბიჭი და გოგო, ხოლო მოგვიანებით თავის შვილიშვილს ირინა დაარქვა იმ ბავშვის საპატივსაცემოდ.

ამ ომში მრავალი ქართველი დაიღუპა. ახლა ომის მხოლოდ ერთი მონაწილე ცხოვრობს დედოფლისწყაროში, ესაა ნიკო შანშიაშვილი, რომელიც ჯანმრთელია და კიდევ დიდხანს იცოცხლებს. ღმერთს ვთხოვ, აღარ გვაჩვენოს ომი და სულ მშვიდობა იყოს ყველგან, საქართველოშიც და მსოფლიოშიც.

ნანული ღვინიაშვილ-იაკობიშვილი,
84 წლის, „შირაქის“ სტამბა-რედაქციის ყოფილი თანამშრომელი, ლინოტიპისტი, გაზეთის დამკაბადონებელი.

ადამიანი—მანიპულატორი

ფსიქოლოგიაში ამ ბოლო ხანს საკმაოდ გახშირდა საუბარი ადამიანის გარკვეულ ტიპზე. ეს არის ადამიანი – მანიპულატორი. თუმცა, მანიპულაციის ფენომენი უნივერსალური, უსასრულო და ზედროულია. ცნობილი ფსიქოლოგიისა და ფსიქოთერაპევტის ეერეტ მოსტრომის აზრით, თანამედროვე ადამიანისთვის მანიპულაცია არსებობის ძირითად ფორმად გადაიქცა.

ადამიანი – მანიპულატორი მიილტვის მართოს საკუთარი თავიცა და ირგვლივმყოფებიც. ადამიანებს ექცევა ისევე როგორც ნივთებს და ვერ აცნობიერებს საკუთარ სიყალბესა და უსიცოცხლობას. მაგალითად, მანიპულატორის ტიპია ის მამა, რომელიც მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მხოლოდ მან იცის – რა პროფესია, რა კარიერა უნდა აირჩიოს მისმა ვაჟმა. მანიპულატორია გამყიდველი, რომელიც ყველანაირი ხერხითა და ხრიკით ცდილობს გვაყიდინოს რამე. მანიპულატორია დედა, რომელიც შვილზე გავლენის შესანარჩუნებლად ავადმყოფობას მიმართავს: „ახლავე შეწყვიტე ამის კეთება, ვერ ხედავ, წნევამ ამიწია, (თავი ამტკივდა, გულის შეტევა მომივიდა)“. ასევე მანიპულატორია შვილი, რომელიც დემონსტრაციულად „ვარდები დეპრესიაში“, თუ მშობლები სურვილს არ უსრულებენ ან როცა მიზნის მისაღწევად მუქარას, სიცრუეს, სპეკულაციას მიმართავს. მანიპულატორს ძალიან უყვარს სიტუაციის მართვა და აქტიურად თუ პასიურად, არასწორი ხერხებით ცდილობს თავის დამკვიდრებას. მანიპულატორი – გამოცდილი მოთამაშეა, რომელიც ცხოვრებასთან თამაშში გამუდმებით ცდილობს დამალოს თავისი ცარიელი კარტი.

მაინც რატომ მიმართავს ადამიანი მანიპულაციას?

მანიპულაციის ძირითადი მიზეზი ჩაბუდებულია ადამიანის მუდმივ კონფლიქტში თუ რაში ჰპოვოს საყრდენი –საკუთარ თავში თუ გარე სამყაროში. ადამიანი არასოდეს ენდობა საკუთარ თავს მთლიანად. ცნობიერად თუ არაცნობიერად იგი თვლის, რომ მისი „ხსნა“ სხვებშია, მაგრამ ამ „სხვებსაც“ რომ ვერ ენდობა მთლიანად!. ამიტომ ირჩევს იგი მანიპულაციის მოლიპულ ბილიკს, რათა შეძლოს სხვების კონტროლირება და ასეთ პირობებში მათ შედარებით მეტად ენდოს.

არსებობს მანიპულაციის სხვა მიზეზიც – ნამდვილი სიყვარულის უუნარობა. ადამიანთა უმეტესობას მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რას ნიშნავს ნამდვილი სიყვარული. ბევრი თვლის რომ, რომ რაც უფრო უკეთესი და სრულყოფილი გახდება, მით უფრო დიდ სიყვარულს დაიმსახურებს.სინამდვილეში კი სულაც არ არის ასე. ამიტომ მანიპულატორს სიყვარულის საცოდავი ალტერნატივა რჩება – სრული ძალაუფლება სხვა პიროვნებაზე, ძალაუფლება, რომელიც აიძულებს სხვას აკეთოს ის, რაც მანიპულატორს უნდა, იფიქროს ისე, როგორც მას სურს და ურჩევენია.

ექსისტენციალისტი ფსიქოლოგები მანიპულაციის სხვა მიზეზებსაც ვარაუდობენ. რისკი და გაურკვევლობა, ამბობენ ისინი, გარს გვაკრავს ყოველი მხრიდან. „მთელი ცხოვრება – რისკი და გაურკვევლობაა. ჩვენ დაუცველები ვართ და ყოველ წუთს შეიძლება რაიმე უბედურება დაგვატყდეს თავს. ადამიანი სრულად უძლურად გრძნობს თავს ამ ექსისტენციალური პრობლემის წინაშე. ამ დროს მანიპულატორმა შეიძლება პასიური პოზიციაც დაიკავოს, ხელები აწიოს და განაცხადოს: „მე აღარაფერი შემიძლია, მიქენით, რაც გინდათ!“. მაგრამ მაშინაც, როცა ის ინერტული ხდება და მთლიანად გადაიქცევს თავს მანიპულაციის ობიექტად, მაშინაც, როცა გამოუცდელ თვალს ეჩვენება, რომ იგი აქტიური მანიპულატორის მსხვერპლი გახდა – სწორედ მაშინ „აკეთებს საქმეს“ მისი უმწეობა. დამტკიცებულია ,რომ ასეთ დროს ყოველთვის პასიური მხარე იმარჯვებს. ყველას გვინახავს უმწეო და უსუსური ქალიშვილი როგორმ აღწევს მიზანს და ძალმოსილ ცოლად გადაიქცევა. თუმცა შესაძლებელია შემდგომშიც გააგრძელოს თავისი უმწეობთ მანიპულირება და საბოლოო ჯამში ქმარი - დიქტატორი გამოუვალ ჩიხში მოამწყვდიოს.

ერთი სიტყვით, მანიპულაცის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უნდობლობაა. სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზებია მჭიდრო, მყარი, ღრმა ადამიანური ურთიერთობების უუნარობა და შეგნებულად თუ შეუგნებლად თავის არიდება, მეტიც, გაქცევა, საკუთარ ემოციებზე კონტროლის შენარჩუნება, პრობლემურ, გართულებულ სიტუაციებში მოხვედრის შიში და სხვა.

მანიპულატორობა ეს როლებისა და თამაშების მთელი სისტემაა, ეს სტილია, ცხოვრების თუმცა, მცდარი, მაგრამ ფილოსოფია. მანიპულატორობის იმდენი ხერხი არსებობს, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ თუ დავფიქრდებით, დავუკვირდებით ჩვენს თავს, ჩვენს ოჯახს, ადამიანთა წრეს, რომელშიც ვტრიალებთ–ადვილად შევამჩნევთ, რომ ყოველდღიურად ვხვდებით დიქტატორ-მანიპულატორებს, ხელმძღვანელებს, თანამდებობის პირებს, პედაგოგებს, გვხვდებიან კონფორმისტი, ეჭვიანი, სულელი, მუდამ დარცხვენილი მანიპულატორებიც, საქმიანი და თაღლითი, მუქთახორა, ხულიგანი, ანჩხლი ან პირიქით–მორალისტი,,,კარგი ბიჭი“,,,საქმის მკეთებელი მანიპულატორები. მანიპულატორობა არა მხოლოდ ავტოტარიზმითა და ძალდატანებით, წუწუნითა და სიცრუით, არამედ გადამეტებული სიყვარულითა და ზრუნვითაც ხდება.

რაღა თქმა უნდა, ზოგიერთი მანიპულატორული ნაბიჯი ნამდვილად სჭირდება ადამიანს არსებობისთვის. მაგრამ ჩვენი მანიპულაციების უმეტესობა დამღუპველად მოქმედებს ჩვენსავე ცხოვრებაზე და ჩვენი ახლობლების ყოფაზეც. თანამედროვე ადამიანმა თავისი უსასრულო მანიპულაციებით ლამის არის დაკარგოს თავისი თავის, თავის უნარების, თავისი მე–ს პირდაპირი და შემოქმედებითი გამოხატვის შესაძლებლობა.

ყველა ადამიანში ღვივის „ღვთის ნაპერწკალი“, ყველას აქვს უნარი საკუთარი პოტენციალის გაღვიძებისა, ყველას შეუძლია გაიაროს გზა საკუთარი თავისკენ და მიაღწიოს იმ თვითგამოხატვას, თვითგანხორციელებას, თვითაქტუალიზაციას, რომლისკენაც მიისწრაფოდნენ ყველა დროის შეგნებული ადამიანები. ადამიანის ასეთ ტიპზე - აქტუალიზატორზე შემდგომში გვექნება საუბარი.

გესარიონ გიგოლაშვილი,
ფსიქოლოგი

ნაირა, ციხელო, გულნარა გორაშვილები ოჯახებით იუწყებიან დეიდაშვილის **თამაზ ცაკაშვილის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ, მეუღლეს – ლალი მარტყოფლიშვილს, შვილებს: მეუფე სვიმეონს და თინიკო ცაკაშვილის ოჯახს მამის გარდაცვალების გამო.

დაიკრძალა, 8 მაისს სოფელ ზემო მაჩხაანში.

გიორგი მაზიაშვილი ებრაულ სერიალში გადაიღეს

დედოფლისწყაროში მცხოვრები 21 წლის გიორგი მაზიაშვილი სამსახიობო კარიერისთვის ემზადება. ასაკის მიუხედავად ის რამდენიმე ქართულ და უცხოურ პროექტში უკვე მონაწილეობდა, გადაიღეს სერიალებშიც. ადგილობრივებს ის ახალგაზრდული თეატრ „ბერიკონის“ სპექტაკლებიდან ახსოვთ, სადაც სასცენო ნათლობა ჯერ კიდევ ბავშვობიდან ცარო მარტიაშვილთან მიიღო.

გიორგი მაზიაშვილი: „ჩემი ახალგაზრდულ თეატრ „ბერიკონში“ მისვლა ბებიის, ფატმან ჯალიაშვილის, დამსახურება იყო. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში მირჩია, მეცადა და თეატრში შევსულიყავი. მანამდე ძალიან მკაფიო წარმოდგენა არც კი მქონდა, რა ხდებოდა თეატრში, როგორი შეგრძნებაა სპექტაკლში მონაწილეობა, მაგრამ მაინც მოვსინჯე. თავდაპირველად, ენის გასატეხებით ვარჯიშისას სიტყვების გამართულად წარმოთქმა მიჭირდა. ამის გამო ცოტას ვნერვიულობდი, მაგრამ ქალბატონი ცარო მარტიაშვილის დახმარებით ყველაფერი მარტივად გადავლახე. გვასწავლა, როგორ უნდა გვემუშავა, საინტერესო რჩევებს გვაძლევდა და განვითარებაში გვეხმარებოდა, ეს ჩემთვის დიდი მოტივაცია იყო.

უფრო სერიოზულად მოვეკიდე რეპეტიციებს, როცა სპექტაკლ „ბასიანს“ ვდგამდით. ვცდილობდი, მეტი მემუშავა საკუთარ როლზე და სცენაზე კარგად წარმოვჩენილიყავი. ეს პროცესი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. სპექტაკლის ჩვენებისას სცენაზე რომ გავედი, ყველანაირი შიში გამიქრა, მთლიანად როლზე ვკონცენტრირდი. ქალბატონი ცაროს და თეატრის დასის მონაწილეობით ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა და მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა, ამან მონდომება კიდევ უფრო შემმატა. „ბერიკონი“ ის ადგილია, სადაც პიროვნულად იზრდები, სწავლობ გუნდურობას და საკუთარი თავის რწმენას. სცენაზე ყველა ერთი მთლიანობაა. თეატრი გასწავლის, როგორ მოუსმინო სხვას, როგორ გააზიარო ემოციები, როგორ გადმოსცე სათქმელი. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ძალიან გვეხმარება ცხოვრებაში და ურთიერთობებში. ახალგაზრდული თეატრის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს პატარა ქალაქში. თეატრი თვითგამოხატვის მნიშვნელოვანი ნაწილია და იმედი მაქვს, არასოდეს დაკარგავს აქტუალობას. ჩემთვის „ბერიკონი“ ახალი მეგობრების შეძენის, გამოცდილებების და საკუთარი თავის აღმოჩენის გზა გახდა. ახალგაზრდული თეატრი ყველა ქალაქში უნდა არსებობდეს, რომ ახალგაზრდებს ნიჭის წარმოჩენის შანსი მიეცეს.

— ***პროფესიული არჩევანი როგორ გააკეთე?..***

— ქ. დედოფლისწყაროს №1 სკოლის დამთავრების შემდეგ პროფესიული არჩევანის დრო მოვიდა. სამართალი ყოველთვის მაინტერესებდა, მიზიდავდა ეს სფერო, რადგან ყველაფერში სამართლიანობის მოყვარული ადამიანი ვარ. თან ვფიქრობდი, რომ პერსპექტიულიც იყო. ბავშვობიდან მესმოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამართლიანობა. ამიტომაც, 2020 წელს, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობაზე ჩავაბარე, მაგრამ შემდეგ სხვა პროფესიით დავინტერესდი. ვფიქრობდი, რა სფეროში ვიგრძნობდი თავს უფრო ბედნიერად და კომფორტულად. მივხვდი, რომ ჩემთვის ასეთი იყო ჟურნალისტიკა, უფრო თავისუფალი, აქტიური და ცოცხალი პროფესია. ფაკულტეტის შეცვლა მარტივი არ ყოფილა. მეფიქრებოდა, სწორად ვიქცეოდი თუ არა, ხომ არ დავკარგავდი იმ შესაძლებლობებს, რაც სამართლის სფეროში შეიძლებოდა მქონოდა.

სცენა ებრაული სერიალიდან

ავნონ-დავნონე და მესამე კურსიდან ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე გადავედი. როდესაც ჟურნალისტიკის სამყაროში შევაბიჯე, მივხვდი, რომ სწორი არჩევანი იყო. თავი მეტად

თავისუფლად და თავდაჯერებულად ვიგრძენი. კამერებთან მუშაობა განსაკუთრებით მიზიდავს, დიდი ხანი ეს ჰობადაც მქონდა. ამჟამად აკადემიური წელი მაქვს აღებული, თუმცა, გაგრძელებას ვაპირებ. სტუდენტური ცხოვრება მარტივი არ არის. როცა ახალ სფეროში იწყებ სწავლასა და საქმიანობას, ბევრ სიახლეს უნდა შეეგუო. გავიაზრე, რომ ამ ეტაპებს ყველა მოზარდი გადის. მთავარია, ამ სირთულეებს მიღმა ჩემი მიზანია. ამის გააზრების შემდეგ, გამოწვევებს უფრო ადვილად ვუმკლავდები. ვთვლი, რომ გადაწყვეტილებების შეცვლა არ არის სისუსტე, პირიქით, სიძლიერეა. ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ალბათ, უფრო სამსახიობო კარიერისკენ გადავიხრები, მინდა დიდი მსახიობი გავხდე. არ მაქვს დაგეგმილი მხოლოდ ფილმებში ვიქნები, თუ თეატრშიც ვითამაშებ. მინდა სტაჟირებაც გავიარო რომელიმე ტელევიზიაში, შეიძლება ტელე სტუდიებმაც მომხიბლოს. ისე კი, ოპერატორობა უფრო მიყვარს, ფოტოგრაფიაც მიტაცებს, მიყვარს კამერის წინაც და უკანაც მუშაობა.

— ***ფილმებში მონაწილეობის სურვილი როდიდან გაგიჩნდა და რამ მოახდინა გავლენა?***

— თავისუფალ დროს, როცა ფილმებსა და სერიალებს ვუყურებდი, ყოველთვის ვფიქრობდი იმაზე, როგორ იქმნება თითოეული სცენა, რა ხდება კამერის უკან. გულწრფელად გითხრათ, პოპულარობაც მიზიდავდა და მსახიობის ცხოვრებაც... სასიამოვნოა, როცა ეკრანიდან გცნობენ და ამით ბედნიერდები. ხშირად წარმოვიდგენდი საკუთარ თავს სხვადასხვა როლებში, ალბათ ყველას ჰქონია ასეთი მომენტები.

— ***თუმცა, პროექტებში მოხვედრა მარტივი არ არის, რა გზა გაიარე საამისოდ?***

— პირველად გადაღებებში მონაწილეობის შანსი მაშინ გამიჩნდა, როცა მეგობარმა მასთან ერთად მასიურ სცენაში გადაღება შემომთავაზა. კარგად გავეცანი კინოინდუსტრიის დეტალებს და ბევრი ახალი რამ აღმოვაჩინე. მივხვდი, რა რთულია პრუდუქტის მაყურებლამდე მისვლის პროცესი. კამერის წინ თავი კომფორტულად ვიგრძენი, იმდენად მომეწონა, რომ მას შემდეგ მასიურ სცენებსა და რეკლამებში გადაღებებზე სულ ვფიქრობდი, უფრო ხშირად დავდიოდი და გამოცდილებას ვიძენდი. რეკლამების გარდა გადამიღეს ფილმების ეპიზოდურ როლებში, უმეტესობა უცხოენოვანია, თუმცა, გადაღებები თბილისში იყო. უფრო საბრძოლო, სათავგადასავლო ჟანრი მომწონს. ადრე თბილისი-

ში აკადემიაში კასკადიორობაც შევისწავლე.

— ***უცხოური გადამღები ჯგუფები როგორ პოულობენ ქართველ მსახიობებს, როგორ კონტაქტობთ მათთან?...***

— როცა რამდენჯერმე გადაგიღებენ, მერე უკვე გაქვს კომუნიკაცია ამ სფეროში ჩართულ ადამიანებთან. ამას გარდა, ინტერნეტში არსებობს ჯგუფები, სადაც ვაკანსიები იდება და მითითებულია როლისა და მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია. სურათებს ვგზავნით და გარეგნობის, ან მახასიათებლების შესაბამისად მათთვის სასურველ კანდიდატებს უკავშირდებიან.

იყო არაბული ფილმის ერთი ეპიზოდიც, სადაც დაჭრილი ჯარისკაცის როლი მაქვს. ვმონაწილეობდი პოპულარულ ქართულ იუმორისტულ სერიალში „კეთილები“, სადაც ორ სერიაში გადამიღეს.

— ***ახლახან გამოვიდა ებრაული სერიალი, სადაც შენც გამოჩნდი. გვიამბე, როგორ მოხვდი ამ როლზე?***

— ბოლო ხანს ყველაზე დასამახსოვრებელი იყო ებრაულ სერიალ **Full Speed**-ის ეპიზოდურ როლში მონაწილეობა. ეს არის სათავგადასავლო სპორტული დრამა, რომელიც ებრაულ ტელეარხ Teen nick Israel-ის ეთერში გავიდა. ქასთინგ მენეჯერი დამიკავშირდა, ესპანელი ბაიკერის როლზე გავიარე შესარჩევი ტური, რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკეს და დამიბარეს. ჩემდა გასაოცრად, მარტივად მოვხვდი ამ ფილმში. გადაღებები პროფესიონალურ დონეზე მიმდინარეობდა. 4-5 დუბლის გადაღება დამჭირდა. ტექსტს ხშირად ვიმეორებდი, რომ არ დამვიწყებოდა, მაგრამ ვღელავდი და რამდენჯერმე გადავიღეთ. სამი დღე გაგრძელდა და დღეში 300 ლარს მიხდიდნენ. ორგანიზება, ტექნიკური გუნდი, რეჟისორთან მუშაობა, ეს ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო. ამ გადაღებების დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამდენად მნიშვნელოვანია საკუთარი როლის მნიშვნელობის სწორად აღქმა. თუნდაც მსახიობს პატარა ტექსტი, ან ეპიზოდი ჰქონდეს, მაინც ბევრი უნდა იმუშაოს, რომ თუნდაც მოკლე მონაკვეთში ემოცია სწორად გამოხატოს. ეს დიდ ყურადღებას და პასუხისმგებლობას მოითხოვს. თითოეული ასეთი მომენტი მეხმარებოდა იმაში, რომ უკეთესად მესწავლა კადრში მოქცევა, კამერის აღქმა და პარტნიორებთან სინქრონი. ამ გადაღების დროს დავინახე, როგორ იკვრება ერთი დიდი სურათი უამრავ პატარა დეტალთან ერთად და როგორ შეუძლია, იმ პატარა როლს გავლენა ჰქონდეს საბოლოო შედეგზე. გადაღებების უკან დიდი შრომა და უამრავი ადამიანის ძალისხმევაა. მინდა მომავალში კიდევ უფრო გავიღრმავო ცოდნა, უფრო სერიოზულად ჩავერთო კინო, ან ვიზუალური მედიის მიმართულებით. იმედია, ყველაფერი ჩემი გეგმების მიხედვით განვითარდება. დედა, ბებია და ჩემი მეგობრები მამხნევებენ და ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია.

მჯერა, რომ საქართველოში კინოინდუსტრიის განვითარების დიდი პოტენციალი გვაქვს, როგორც ბუნებრივი ლოკაციებით, ისე ნიჭიერი ახალგაზრდებით, რომლებსაც სურთ, შექმნან ხარისხიანი კინო პროდუქცია. თუმცა, ჯერ კიდევ მრავალი გამოწვევაა: დაფინანსების სიმცირე, ტექნიკური ბაზის არაერთგვაროვნება და ნაკლებად სტაბილური გარემო მათთვის, ვინც კარიერის დაწყებას ამ სფეროში ცდილობს. საჭიროა, ამ მხრივ შეიქმნას მეტი საგანმანათლებლო სივრცე, ჩატარდეს პროფესიული ტრენინგიები, გაჩნდეს მეტი პრაქტიკული შანსი. ასევე მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის აქტიური ჩართულობა, რათა კინოწარმოება საქართველოში არ დარჩეს მხოლოდ ენთუზიაზმზე დამყარებულ სფეროდ და გადაიქცეს უფრო მეტად სტაბილურ, პროფესიულ და განვითარებად ინდუსტრიად...

✍ ***ილია მარტყოფლიშვილი***

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 12.05	სამშაბათი 13.05	ოთხშაბათი 14.05	ხუთშაბათი 15.05	პარასკევი 16.05	შაბათი 17.05	კვირა 18.05
დღე	22°	19°	20°	16°	18°	19°	20°
ღამე	12°	12°	10°	8°	8°	10°	11°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „ლაბ კოლორის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
„შირაქის“ ელ.ფოსტა:
gazetishiraki@gmail.com
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი